ოჯელკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი.

№ 23. 26 ოქტომბერი 1908 წ. ფასი 10 კაპ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: მეთაური.—პრესსა.—ინტერნაციონალის კრება, მინერისა.—სახელმწიფო დუმა.—სხვა და სხვა ამბები—ჩვენში.—ქუთაისში.—რუსეთში.—მონგოლები, ავტორისა.—ლექსი, ბ. პელაშვილისა.—მნათობთა ჩივილი, ლევ. მეტრეველისა.—თეატრი და მუსიკა: სახაზინო თეატრი, მ.-წილისა. ავჭალის აუდიტორია, პარნასისა. სომხური წარმოდგენა, არტემიუსისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—განცხადებანი.

● თფილისის საკრებულოს დარბაზში ●

კვირას, 2 ნოემბერს

ლეიპციგის უნივერსიტეტის სტუდენტი მიხაილ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ რუსულ ენაზე წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე:

„უმთავრესი მიმართულებანი

თანამედროვე ხელოვნებაში“

(სკულპტურა და მხატვრობა).

●● ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ ●●

„ჩვენი კვალის“ რედაქცია სთხოვს იმ ხელის მომწერთ რომელთაც

ვადა გაუთავდათ, შემოიტანონ ფული,

წინააღმდეგ შემთხვევაში **[გაზეთი მოესპობათ.**



ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ამ თვის 15-დან, როგორც იცით, უკვე გაიხსნა სახელ. დუმის ახალი სესია, კვლავ იწყო მოქმედება რუსეთის, „მადლობა ღმერთს, პარლამენტმა“. პრესა და საზოგადოება, მართალია უხალისოთ და თითქოს რაღაც

ნაძალადევის ინტერესით, მაგრამ მაინც დასტრიალებს ერთ საკითხს: ეხლა რაღა იქნება, რას გააკეთებს სახ. დუმა ამ ახალ სესიაში და ან, საერთოთ რითი გათავდება მისი არსებობა?

ერთნი—უმრავლესობა—იმ აზრისა არიან, რომ ახალი სესიაც იგივე იქნება, რაც იყო წარსული სესია; რომ სახ. დუმა ერთიანათ შთაინთქება აუარებელ, იმ წვრილმან კანონ-პროექტებში, რასაც მას მთავრობა ასე გულმოდგინეთ აწვდის, და ამ რიგათ, არაფრისაგან არაფერს უნდა მოველოდეთო. ამ შეხედულებას თითქოს სავსებით ადასტურებს მესამე სახ. დუმის მთელი წარსული და ამწყო და აგრეთვე ამ დღეებში ბ-ნ სტოლიპინისაგან ხომიაკოვისადმი მიწერილი ეპისტოლე, სადაც მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე „პარლამენტის“ თავმჯდომარეს „უზიარებს“ თავის შეხედულებას იმაზე, თუ რა წეს-რიგით უნდა წარმართოს სახ. დუმამ თავისი საკანონმდებლო მუშაობა ამ სესიაში.“ პრემიერ-მინისტრი ბ-ნ ხომიაკოვს უთითებს მრავალ წვრილმან კანონ-პროექტებზე, როგორც მეტათ საჩქარო და სახელმწიფოსათვის დიდათ მნიშვნელოვან საქმეებზე.

ჯიუტი ოპტიმისტები მაინც იმ აზრისანი არიან, რომ სახ. დუმა თავის არსებობას ვერ ჩაღრჩობს ამ ფუქსავატ და წიკო-მაკო პროექტების მორევში, რომ იგი თვით ცხოვრების ლოგიკით იძულებული გახდება წამოაყენოს და ასე თუ ისე გადაწყვიტოს კიდეც ქვეყნისთვის ისეთი ძირითადი და მნიშვნელოვანი საქმეები, როგორიც არის აგრარული საკითხი, ადგილობრივი თვითმართველობისა და სასამართლოს რეფორმა, მოქალაქობრივ თავისუფლებათა დამყარება და სხ. თავის თავად ცხადია, რომ ადრე იქნება თუ გვიან, სახ. დუმა მხარს ვერ აუქცევს აღნიშნულ საკითხების განხილვას. ცხადია, თვით მესამე დუმა იძულებულია ანგარიში გაუწიოს ცხოვრების ლოგიკას. ამას კარგათ მოწმობს ის გარემოება, რომ სესიის გახსნის უმალვე დუმამ მიიღო შეკითხვა, რომელიც პასუხსა სთხოვს მთავრობას პეტერბურგის „გრადონაჩალნიკის“ „უკანონო მოქმედების“ შესახებ. პეტერბურგის „გრადონაჩალნიკი“ რომელიმე მიყრუებულ დაბა-ქალაქის ბოქაული არ არის, მის „უკანონო მოქმედებაზე“ შეკითხვის წამოყენებას უეჭველათ აქვს თვალსაჩინო პოლიტიკური მნიშვნელობა და მასთან განსაკუთრებული მნიშვნელობაც; რადგან ხსენებულ „გრადონაჩალნიკის“ „უკანონობა“ ჰხდება თითქმის ყოველ დღე რუსეთის იმპერიის მთელ სიგრძე-სიგანეზე.

მაგრამ, ისიც ეპეს გარეშეა, რომ მესამე სახ. დუმა ვერც ერთ საჭირ-ბოროტო საკითხს ვერ გადასწყვეტავს ისე, რომ იმპერიის მრავალ მილიონ ხალხთ რამოდენიმეთ მაინც დაკმაყოფილებულათ ჩათვალონ თავიანთი საარსებო მოთხოვნილებანი. დღევანდელ დუმის მესვეურნი მხოლოთ რამდენიმე ათას მსხვილ მემამულეთა მოციქულები არიან და რათქმა უნდა ვერ იქნებიან წარმომადგენელნი იმ მრავალ მილიონ გატანჯულ ხალხთა, რომელნიც უაღრესათ გამსჭვალულნი არიან დემოკრატიული სულით.

მაშ, რას გააკეთებს ეხლანდელი დუმა? ამ საკითხზე ამ დღეებში ერთ ქართველ მწერალმა ქალმა ასე უპასუხა: „არაფერს. ხალხის წარმომადგენელნი და მთავრობა იმ ცავიდან აქამომდე გაბუტულ ცოლ-ქმრის როლს თამაშობენ, იმ ცოლ-ქმრისას, რომელთაც ერთმანეთი ჭირივით ეჯავრებათ, მაგრამ, რაკი შავბედს შეუუღლებია, მაინც ერთ ჭერ ქვეშ ცხოვრობენ და ავათა თუ კარგათ მიაჩანჩალებენ ჯაგლაგ ცხოვრებას“. აქ მოსწრებულათ არის გამოხატული დღევანდელი ვითარება, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა იქნება ხვალ. მოყვანილ სტრიქონებში უფრო ჩაქსოვილია ის საერთო სადღეისო პესიმიზმი, რომელიც შავათ ჩამოშენელებულ პოლიტიკურ ცაზე ველარ არჩევს ნათელ წერტილს. მაგრამ, პოლიტიკური ვითარება უბრალო გამოხატულებაა საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების, უკანასკნელი კი მუდმივ ცვალებადობის პროცესშია, რადგან ცხოვრებამ არ იცის ერთ ადგილზე შეჩერება და გაყინვა. მაშ, დღევანდელი პოლიტიკური ვითარებაც წარმავალია. რუსეთი დღეს ჯვარედინ გზაზე დგას, ერთი გზა მიდის ძველი რეჟიმისაკენ. ამ გზას აფარია ადამიანთა ძვლებით აქოლვილი უზარმაზარი აკლდამა; მეორე გზა მიდის კონსტიტუციისაკენ. ეს არის ერთათ ერთი გზა, რომელზედაც უნდა შედგეს რუსეთი. ამ მხრივ რას გააკეთებს მესამე დუმა?

ზემოთ უკვე შევნიშნეთ, რომ იგი ვერ გადასწყვეტს ვერც ერთ საქვეყნო საჭირ-ბოროტო საკითხს. და ეს არც არის მისი დანიშნულება. უკანასკნელი ზედ მიწევნით გამოსთქვა ოქტომბრისტმა კაპუსტინმა, როცა მან სესიის გახსნის წინა დღეებში განუცხადა ერთ ჟურნალისტს: „ჩვენი (მესამე დუმის) მიზანია უზრუნველყოთ კანონიერება, მშვიდობიანობა, დაწყნარება და წესიერება; ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა, მხნე და ენერგიული (mustigerqültige) დუმა მომავლის საქმეაო“. მესამე დუმა რომ ხანგრძლივათ ვერ უზრუნველჰყოფს სიწყნარეს, ეს ცხადია იქიდან, რომ მას არ შესწევს უნარი ძირითად რეფორმების გასატარებლათ. მაგრამ ის კი სრული სიმართლეა, რომ მესამე დუმის ისტორიული დანიშნულებაა უზრუნველ ჰყოს „კანონიერება“, ე. ი. ძველი რეჟიმის თვითნებობისა და ძალმომრეობის ადგილას გაამეფოს კანონი, თუნდაც ეს უკანასკნელი ქვეყნის ბატონ პატრონობას ანიჭებდეს მხოლოთ მსხვილ მემამულეებსა და კაპიტალისტებს. დღეს **ფაქტიურათ** ყველგან ძველი რეჟიმი ბატონობს. მთავრობა მუდამ იმის ცდაშია, რომ თავის საკუთარი უფლებები, რაც შეიძლება მეტათ გააფართოვოს, ხოლო დუმის კომპეტენცია კი მეტათ შეავიწროვოს. მთავრობა იმასაც კი არ ერიდება, რომ გზა აუქციოს დუმის აშკარა დადგენილებას. გაიხსენეთ მაგ. ჯავშნიან გემების აშენების საკითხი, რკინის გზების ობლიგაციებზე გარანტიების მიცემა დუმის დაუკითხავათ და სხ. ასე რომ

მთავრობა დუმას ითმენს, როგორც ერთგვარ ბოროტებას, რომლის თავიდან მოშორება მას ჯერ-ჯერობით მაინც არ ძალუძს. დუმა დღეს **ფაქტიურ-ად** კანონის მრჩეველი დაწესებულებაა; იგი ადასტურებს ყველა იმ პროექტებს, რაიც მრავლათ გამოდის სხვადასხვა დეპარტამენტებისაგან, „ეწყობათაშორისო“ კომისიებიდან. ისტორიულ მომენტის მოთხოვნა კი ის არის, რომ დუმა გადაიქცეს ნამდვილ საკანონმდებლო დაწესებულებათ, თანახმათ 17 ოქტომბრის მანიფესტისა, და „არც ერთი კანონი არ შედიოდეს ძალაში დუმის დაუდასტურებლათ“. ასეთია მესამე დუმის ისტორიული დანიშნულება. შეასრულებს იგი ამას თუ არა, ეს კიდევ სხვა კითხვაა და სავსებით ეკუთვნის წინასწარმეტყველებს.

თუ მესამე დუმა შეიძლებს აღნიშნულ მიზნის შესრულებას, მაშინ ძველი რეჟიმისაკენ მიმავალი გზა საბოლოოთ ამოიქოლება და რევოლიუციონურ და პროგრესიულ ძალებს ერთგვარი დასასვენებელი და შესამზადებელი ვადა მიეცემათ განმათავისუფლებელ მოძრაობისაგან დაყენებულ დიად საკითხების გადასაწყვეტათ. ამასთანავე, სუსტ ნერვებიან ადამიანებს, რომელთა რიცხვი ლეგიონია, მეტი საშუალება მიეცემათ უფრო გაბედულათ გამოვიდენ ასპარეზზე ძირითად საკითხების გადასაწყვეტათ საზოგადოთ და ნაციონალურ საკითხის გადასაჭრელათ, კერძოთ. მოგეხსენებათ, რომ არა მარტო უბრალო პროგრესისტები, არამედ თვით ჩვენი „ცენტრ.“ ამხანაგები, თუ დღეს გაურბიან ამას საკითხისთვინ სათანადო ადგილის მიცემას, ამას უმეტეს ნაწილათ ამართლებენ ძველი რეჟიმის საფრთხეზე მითითებით.

და თუ მესამე დუმა, ნაცვლათ აღნიშნულ მიზნის შესრულებისა კვლავ განაგრძობს აღებულ კურსს, „კონსტიტუციონურ თვითმპყრობელობის“ განმტკიცებას, მაშინ, ცოცხალ საზოგადოებრივ ძალთა ახალი აბობოქრება, სახალხო მასსის ამოძრავება, უფრო მეტის მრისხანებით გაიჭექებს იმპერიაში. ამის განხორციელების ვადა კი, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორის სისწრაფით ივლის ხალხის პოლიტიკური გაცნობიერება. ამასთანავე, ყოველსავე ეჭვს გარეშეა, რომ როგორიც უნდა იყოს მესამე სახ. დუმა, იგი მაინც ცენტრია სახელმწიფო ცხოვრებისა და მით ცენტრია საზოგადოებრივი ყურადღებისა. სახ. დუმის მუშაობა ხილულათ თუ უხილავათ, მაგრამ შეუჩერებლივ მოქმედობს ხალხის გრძნობა-გონებაზე, წინ ეწევა მის პოლიტიკურ გაცნობიერებას, და ეს მით უფრო ინტენსიურათ სწარმოებს, რამდენათაც უფრო მეტის უნარით სარგებლობენ დუმის საქმიანობით მოწინავე პოლიტიკური პარტიები.

ამიტომაც, სახელმწიფო დუმის არსებობის ყოველი დღე, ზედმეტი ლურსმანია ძველი რეჟიმის კუბოს სახურავში ჩაჭედილი...

პრესა

„წ.-კ. საზოგადოება“-ზე.

გაზ. „ამირანი“ (იხ. № 183) არ ეთანხმება ჩვენს აზრს წ.-კ. საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ, რასაც გამოვთქვამდით „ჩვენი კვალის“ მე-21 №-ის მეთაურ წერილში. „ამირანს“ ჩვენს წინააღმდეგ მოჰყავს ერთათ ერთი სერიოზული მოსაზრება და ისიც დამყარებულია ჩვენი აზრის მიუხვედრელობაზე. მას შემცდარათ წარმოუდგენია, ვითომ ჩვენი გეგმა, რომელიც ეროვნულ კულტურულ საქმიანობის ცენტრათ ჰხდის წ.-კ. საზოგადოებას, უპირ-დაპირდებოდეს კულტურულ შრომის განაწილებას, ვითომ იგი უარჰყოფდეს ცალკე განმანათლებელ საზოგადოებათა არსებობას. ნამდვილათ, ჩვენ მიერ წამოყენებული გეგმა არამც თუ არ უარჰყოფს კულტურულ ძალების ასეთ განაწილებას და სპეციალიზაციას, არამედ პირიქით ხელს უწყობს ამის უმაღლეს წერტილამდე განვითარებას; დიდი მტკიცება არ უნდა იმას, რომ ესა თუ ის კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოება მით უფრო ადვილათ დაიბადებოდა და განვითარდებოდა, მით უფრო მეტ ენერგიასა და საქმის უნარს გამოიჩენდა, რამდენადაც უკეთ იქნებოდა ნივთიერათ უზრუნველ-ყოფილი, რამდენადაც უფრო ბეჯით და სისტემატურ დახმარებას მიიღებდა იგი. ამასთანავე, ამ ცალკე საზოგადოებას უფრო მეტი ზნეობრივი ძალაც ექნებოდა, როცა იგი გახდებოდა მთელი ერის საზრუნავ საგნათ და აი, სწორეთ ამ პირობებს იძლევა ჩვენ მიერ განზრახულ გეგმაზე შეცვლილი წ.-კ. საზოგადოება; უკანასკნელი, ცალკე საზოგადოებათ სისტემატიურ ნივთიერ დახმარებას აწვდის საერო ბიუჯეტიდან, ე. ი. საკუთარ კასიდან და ამასთანავე აძლევს მათ საერთო დირექტივებს.

რაც შეეხება სპეციალურ მიზნების შესრულებას, ეს, რა თქმა უნდა, ცალკე საზოგადოებათა სპეციალური წევრების საქმე იქნება. მაგ. აშკარაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ახლათ ნაპოვნი ვარიანტი გადაეცემა საქართველოს საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოებას და არა „წ.-კ. საზოგადოებას“ ანუ „ნაციონალურ სათათბიროს“, რადგან უკანასკნელის სავარძლებზე სხედან უბრალო, ხალხის წარმომადგენელნი და არა სპეციალისტ-მეცნიერები. მაგრამ საქმე ის არის, რომ „ამირანს“ დიდათ სახიფათოთ და მავნებლათ მიაჩნია რაიმე კავშირი, ურთიერთობა არსებობდეს „ნაციონალურ სათათბიროსა“ და კულტურულ საზოგადოებათა შორის. საბუთათ მოჰყავს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში

„კულტურის და განათლების საქმე თავის შინაარსის მხრივაც უმრავლესობის სურვილს დაექვემდებარება, ახალ მეცნიერულ აზრის, ან ახალ მიმართულების ბავრცელება რაიმე ხელოვნებაში ყოველთვის (?) წინააღმდეგობას გამოიწვევს სეიმის ან საზოგადოების მხრივ“ და ყოველთვის „კულტურას წინ კი არა, უკან დასწევსო“.

გაზეთს თავისი აზრის დასასურათებლათ მაგალი-

თიც მოჰყავს. ვთქვათ, რომელიმე ჯგუფმა მოიწადინა ბერძნულ თეატრის პრინციპების აღორძინება; თუ ეს ჯგუფი თავისუფალ კავშირს შეადგენდა თანამოაზრე ძალებისაგან, ადვილათ მოახერხებდა სათეატრო საქმის მოწყობას თავის საკუთარ გემოვნებაზე; მაგრამ თუ მოუცდიდა ნაციონალურ სეიმის გადაწყვეტილებას, შეიძლება მისი განზრახვა ვერასოდეს ვერ ღირსებოდა განხორციელებასო.

დიახ, ასე შეიძლება მოხდეს, მაგრამ საკითხი ის არის, თუ ნოვატორებმა რათ უნდა მოუცადონ ნაც. სეიმის ანუ „საზოგადოების“ გადაწყვეტილებას, თუ კი ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი მათ წინააღმდეგ იქნება მიმართული? თანამედროვე სახელმწიფოთა ცხოვრება ნათლათ ჰმოწმობს, რამდენათ უქმია თვით ამ საკითხის დაყენება. ყოველთვის, როცა კი ესა თუ ის ახალი აზრი თუ რაიმე დაწყებულება ვერ პოულობს მთავრობისა და პარლამენტის თანაგრძნობას, ახალი აზრის მატარებელნი არც ერთს და არც მეორეს აღარ მიმართავენ ხოლმე დახმარებისათვის; ისინი უმალვე ადგენენ თავისუფალ საზოგადოებას და საკუთარ ძალ-ღონით იწყებენ გზის გაკაფვას. მოგეხსენებათ, რომ ყოველ თანამედროვე სახელმწიფოში, სადაც კი დამკვიდრებულა პოლიტიკური და მოქალაქობრივი თავისუფლებანი, მიუხედავათ იმისა, რომ მთელი ნაციონალ-კულტურული საქმე სახელმწიფოს ხელშია, მაინც ყოველნაირი საზოგადოებანი სრულიად თავისუფლათ არსდებიან და მოქმედებენ კიდეც, იქ აკრძალულია მხოლოთ ისეთი საზოგადოებანი, რომელთაც მიზნათ ექნებათ ისეთი რამ საქმე, რაც აშკარათა ლახავს საყოველთაო ზნეობას. ასე, მაგ. აკრძალულია საზოგადოება, რომელსაც მიზნათ ექნებოდა მამათ-მავლობა, მრავალ-ცოლიანობა და სხ.

თუ ასეა საქმე თვით თანამედროვე სახელმწიფოებში, ცხადია იგი უარესათ არ იქნება არც ნაციონალ-კულტურულ ავტონომიის დროს, და—მით უფრო—არც ჩვენს გეგმაზე შეცვლილ წ.-კ. საზოგადოების დროს, რადგან ამ საზოგადოებას არ ექნება სახელმწიფო ორგანიზმის არავითარი იძულებითი ხასიათი. ცხადია, რომ „ამირანი“-საგან ჩვენს წინააღმდეგ მოყვანილი მოსაზრებანი სრულიად უსაფუძვლოა.

გაზ. „ამირანი“ ჰგრძნობს, რომ ჩვენს გეგმას რაღაც მზგავსება აქვს ნაციონალ-კულტურულ ავტონომიის ორგანოსთან და იგი სწერს:

»რამდენათაც მივუხვდით, „ჩვენ ქვალს“ თავის აზრის საბუთათ მიაჩნია ანალოგია ნაციონალურ ავტონომიის და მისგან განზრახულ გეგმით შეცვლილ წ.-კ. საზოგადოების შუა. ჩვენის ფიქრით, აქ **არავითარ ანალოგიას არა აქვს ადგილი**“.

ვითომ რატომაო? „ამირანი“ გვიპასუხებს, რომ ნაციონალურ ავტონომიის სეიმი ანუ სათათბირო, საკანონმდებლო ორგანიზაციაა, ხოლო „საზოგადოება“ კი „ნებაყოფლობით თანხმობაზე დამყარებული კავშირიაო“. ეს, რა-საკვირველია, მართალია, მაგრამ დასახელებული განსხვავება რომ არ ყოფილიყო, მაშინ „საზოგადოებასა“ და ნაციონალურ სეიმს შორის იქნებოდა სრული **იგივეობა**. „ამირანისაგან“ ანალოგიის უარსაყოფელათ ნაჩვენები განსხვავება კი ჰბადებს სწორეთ ანალოგიას (მსგავსებას). „საზოგადოების“ დადგენილებათა შესრულებას არ მფარველობს და არ სდარაჯობს გარეშე, საზოგადოებრივი იძულება, რომელიც თანა სდევს კანონს; მაგრამ აქ, ამ იძულების მაგიერობას ეწევა საზოგადოებრივი აზრი. თუ მაგ., ეს უკანასკნელი ჩვენში და საზოგადოთ, ჩვენი კულტურული ვითარება იმ დონემდე იქნებოდა აწეული, რომ „წ.-კ. საზოგადოებისათვის“ ზურგის შექცევა, ანუ წევრობაზე უარის თქმა ყველას თვალში თავსლაფ დასხმულ, სამარცხვინო საქმეთ გამოცხადდებოდა, მაშინ, ეჭვი არ არის, ყოველი სრულწლოვანი ქართველი „წ.-კ. საზოგადოების წევრი“ გახდებოდა და ჯეროვან ზნეობრივ წვლილსაც შეიტანდა მის მოქმედებაში. აქ შერცხვენის შიში იმავე შედეგს იძლევა, რასაც —სახელმწიფო თუ საერობო მოთხოვნების დროს—ჯარიმებისა და დაპატიმრების მუქარა. საქმე მხოლოთ ის არის, რომ არც საზოგადოებრივი აზრი და არც საერთო კულტურული ვითარება არ არის აღნიშნულ დონემდე ასული და ამიტომაც, კარგათ გვესმის, რომ თუნდ უნაკლულოთაც განხორციელდეს ჩვენ მიერ წამოყენებული გეგმა „წ.-კ. საზოგადოების“ ორგანიზაციისა, „საზოგადოება“ მაინც ვერ შეიძლებს ვერც მეასედს იმისას, რის გაკეთების უნარიცა აქვს ნაციონალ-ტერიტორიალურ თუ ნაც. კულტურულ ავტონომიის ორგანოებს. მაგრამ, ჩვენს გეგმაზე შეცვლილი „საზოგადოება“ გაცილებით უფრო მეტს შეიძლებს, ვინემ ხელიდან გამოუვა დღევანდელ „საზოგადოებას“.

„ამირანი“ კი განაგრძობს ანალოგიის უარ-ყოფას:

„ნაციონალურ სეიმს შეუძლიან მხოლოთ სხვა და სხვა საკითხის გადაწყვეტა და არა ამა თუ იმ საქმის (ე. ი. გადაწყვეტილების) ასრულებაც („ამანგალა—ბანგალა!“), რის გაკეთებასაც სეიმი გადასწყვეტს, იმის აღმასრულებელი—დაქირავებული მოხელეა. საზოგადოება კი რაიმე საქმით დაინტერესებულ პირთა თავისუფალი კრებულია, რომელნიც თავის წრიდან ირჩევენ სხვა და სხვა საქმის აღმასრულებელს. ეს პრინციპიალური სხვადასხვაობაა“.

ახირებულია თქვენმა მზემ! ნაციონალურ სეიმს და „საზოგადოებასაც“ რომ თავთავისი აღმასრულებელი ორგანოები მოეპოვებათ, ეს თავისთავათ ცხადია; და თუ „საზოგადოება“ თავისავე წრიდან ირჩევს საქმის აღმსრულებელთ, სამაგიეროთ „შეიძლება ნაციონალურ სეიმის აღმასრულებელი ორგანო— სამინისტრო თუ გამგეობა ანუ მთავრობა პასუხის-მგებელი იყოს სეიმის წინაშე, რაიც იმას უდრის, რომ სეიმი თვითონვე ირჩევდეს თავის წრიდან საქმის აღმსრულებელთ. მთელ განსხვავებათ, მაშასადამე, ის ღა დაგვრჩა, რომ ერთ შემთხვევაში „აღმასრულებელნი“ ჯამაგირით არიან, მეორეში კი —უჯამაგიროთ. მაგრამ არც ეს შეადგენს რაიმე პრინციპიალურ განსხვავებას. მოგეხსენებათ, რომ თვით დღევანდელ წ.-კ. საზოგადოებას მოეპოება „და-

ქირავებული, ჯამაგირიანი მოხელე“, და რომ ერთ მშვენიერ დღეს „საზოგადოების“ ბიუჯეტი მილიონებათ გადიქცეოდეს და მისი საქმეებიც იმდენათ გართულდებოდეს, რომ მისი წაყვანა მოითხოვდეს სპეციალურ კაცებს, მაშინ ეჭვი არ არის, გამგეობის ყველა წევრებს ჯამაგირები დაენიშნებოდათ და ამით „საზოგადოების“ დღევანდელი ბუნება, თუ პრინციპიალური ხასიათი, ოდნავაც არ შეიცვლებოდა.

გაზ. „ამირანი“ ასე აბოლოვებს ნაც. სეიმსა და „საზოგადოების“ შორის არსებულ განსხვავებათა აღნუსხვას:

„საზოგადოება დამყარებულია თანხმობაზე, სეიმი კი—ეროვნულ ვინაობაზე; საზოგადოება არის ორგანიზაცია საქმიანობისა, სეიმი კი—არის ორგანიზაცია თვით ხალხისა“.

ეს მხოლოთ სიტყვების „თამაშია“ და მეტი არაფერი! მართალია ნაც. კულტურული ავტონომია დამყარებულია ეროვნულ ვინაობაზე, მაგრამ ამ უკანასკნელს განსაზღვრავს არა რაიმე ობიექტიური ნიშანი თუ გარეშე იძულება, არამედ ნებაყოფლობითი თანხმობა. თავისუფალი განცხადება ადამიანთა, რომ იგინი ეკუთვნიან ამა თუ იმ ეროვნებას. ასე, რომ ორივეგან ერთი და იგივე საფუძველია—თანხმობა. გარდა ამისა, ყველამ იცის, რომ ნაც.-კულტ. ავტონომია თუ მისი სათათბირო ანუ სეიმი, წარმოადგენს სწორეთ ხალხის ორგანიზაციას, რომლის მიზანია სწორეთ განსაზღვრული საქმიანობა.

„ამირანი“ თვითონაც კარგათა გრძნობს, რომ ნაციონალურ ავტონომიასა და ჩვენ მიერ განზრახულ გეგმით შეცვლილ წ.-კ. საზოგადოების შუა არსებობს დიდი ანალოგია და რომ აქ ხშირათ სრულიათაც იკარგება პრინციპიალური განსხვავება და აი, სწორეთ ეს არის ნამდვილი მიზეზი, რისთვისაც „ამირანი“ წინააღმდეგია ჩვენგან წამოყენებულ გეგმის. „ამირანს“ ნაციონალურ ავტონომიაზე ცუდი წინასწარი აზრი ჰქონია შედგენილი. იგი სწერს:

«ექსტერიტორიალურ (ნაციონალ კულტურულ) ავტონომიას „ჩვენი კვალის“ რედაქციაც პრინციპ ალურათ ემხრობა. სწორეთ ესაა მიზეზი, რომ ამ გაზეთის გეგმით წ. კ. საზოგადოება მთელ ქართულ კულტურ სა და განათლების ცენტრათ უნდა გადაიქცეს. **ეს ჩვენ სასურველათ არ მიგვაჩნია“.**

რატომ არ მიაჩნიათ სასურველათ? „ამირანი“ გვიპასუხებს: „ამ ჯურის ავტონომისტები ვერა ჰხედავენ, **რომ ასეთი ორგანიზაცია კულტურას წინ კი არა, უკან დასწევს“.**

რატომაო? „ამირანს“ მთელ არგუმენტათ მხოლოთ ის უსაფუძვლო მოსაზრებანი მოჰყავს, რაც ჩვენ უკვე განვიხილეთ ზემოთ.

* * *

კლასთა ბრძოლის პრინციპი.

„ამირანს“ ტანში აჟრიალებს მარტო ერთი წარმოდგენაც კი იმაზე,

„ვითომც კლასთა ბრძოლის პრინციპის მოხმარება იყოს საჭირო ისეთ სახალხო კულტურულ დაწესებულების ასპარეზზე, როგორიც ჩვენი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაა“.

რასაკვირველია, დიდი ლარი და ხაზი არ უნდა იმის დამტკიცებას, რომ დღევანდელ წ.-კ. საზოგადოების ასპარეზზე კლასთა ბრძოლის პრინციპის გადაჭარბებულ ბეჯითობით წამოყენება, ძალიან ხშირათ შეიძლება გათავდეს ფარსით. ყოველ შემთხვევაში იგი დიდი მანძილით ვერ გასცილდება იმგვარ „ბრძოლას“, როგორიც არის „საზოგადოების“ წევრთა ერთმანეთზე დატაკება პავლუშა აკობიასა და სოსო სტალარის წიგნაკებით. მაგრამ, თუ „საზოგადოების“ შედგენილობა და დანიშნულება იმ ზომამდე გაფართოვდებოდა, როგორც ეს დასახულია ჩვენის გეგმით, მაშინ, ეჭვი არ არის, ამ „საზოგადოების“ სამოქმედო ასპარეზზე მეტი ადგილი ექნებოდა კლასთა ბრძოლის პრინციპს; პოლიტიკური პარტიები უფრო მეტის უნარით დაუპირდაპირებდენ ერთმანეთს თავ-თავიანთ, განსხვავებულ თვალთახედვის წერტილს და უფრო მეტ სამოქმედო ენერგიასაც აამუშავებდენ. ყველა ამით კი მოგებული დარჩებოდა თვით „საზოგადოებაც“.

ასე არ უყურებს საქმეს „ამირანი“. მისი აზრით, კლასიურ თვალთახედვის წერტილის გამეფება კულტურულ საქმეში უეჭველათ ნიშნავს თვით ამ საქმის დაღუპვას. მისი აზრით, „ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, სხვათაშორის კლასთა ბრძოლასაც“. და ამიტომაც, „სახალხო კულტურულ დაწესებულების ასპარეზზე“ „ამირანი“ კლასიურ პოლიტიკას „წინათაც და ახლაც სასტიკათ და ნათლათ უპირდაპირებს საყოველთაო, სახალხო, უკლასო პოლიტიკას“.

გაზ. „ამირანს“ ეტყობა კლასთა ბრძოლა თავის ადგილას მიაჩნია მხოლოთ ფაბრიკა-ქარხანაში, სადაც ბრძოლა სწარმოებს უმეტეს ნაწილათ „კუპისა“ და „ჯიბის“ საქმეებისათვის; კლასთა ბრძოლას ალბათ ადგილი უნდა ჰქონდეს აგრეთვე წმინდა პოლიტიკურ ასპარეზზე, როცა ჯერი მიდგება საარჩევნო ხმების შოვნაზე და დეპუტატების არჩევაზე; ხოლო ისეთ „ჰაეროვან საქმეში“ კი, როგორც არის აზრებისა და გრძნობების სამეფო, კულტურული დაწესებულებანი, კლასთა ბრძოლის პრინციპის შეტანა წმიდა ტაძრის შებღალვა იქნებოდა და მთელი საქმის დაღუპვას მოიტანდაო. გაზ. „ამირანს“ ამ შემთხვევაში ან კლასთა ბრძოლის პრინციპის აღიარება მუშტი-კრივის გაპრინციპებათ ეხატება, და ან იგი სიმართლის წინაშე განზრახ თვალს ხუჭავს, რათა უფრო ადვილათ დაუმიზნოს და უფრო მარჯვეთაც მოახვედროს ნიშანში ამოღებულ ადგილს. მართლაც, უნდა გვახსოვდეს, რომ კლასთა ბრძოლა არა მარტო პრაქტიკულ მოქმედების დებულებაა, იგი უწინარეს ყოვლისა ცოცხალი ფაქტია ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრებისა და იგი ძირითადი და დამახასიათებელი ფაქტია ამ ცხოვრებისა; უიმისოთ თვით ამ უკანასკნელის გაგება შეუძლებელია. კლასთა ბრძოლის მივიწყება ნიშნავს თვითონ ჩვენი ცხოვრების მთელ შინაარსის მიფუჩეჩებას და სრულ გაუგებრობას. მაგრამ რაკი

ცხოვრების სინამდვილე მუდამ თავს გვადგას მთელი თვისი სისასტიკით და მუდამ გადაჭრით ითხოვს ჯეროვანი ანგარიში გაეწიოს მის გარდაუვალ მოთხოვნებს! აი, ამიტომ კლასიურ საზოგადოებაში „საყოველთაო, სახალხო, უკლასო პოლიტიკა“ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. და ვინც ამ „უკლასო პოლიტიკის“ ბაირაღს აფრიალებს, იგი, უეჭველია, ნებით თუ უნებლიეთ, ზურგს აქცევს გაყვლეფილ დაჩაგრულთა კლასს, მუშა ხალხს და ბეჯითათ ემსახურება გალაღებულთა კლასს, ბურჟუაზიას.

* *
*

ამხ. „ცენტრალისტები“.

ჩვენს უკანასკნელ წერილში „იმედელ“ მოკამათეებისადმი, შევნიშნავდით, რომ ნაციის კულტურული აღორძინება თავის თავათ კი არ არის მუშათა საქმის წინ წაწევა, არამედ იგი ნიშნავს ამისათვის მხოლოთ „უკეთესი პირობების შექმნას“. ამის შესახებ გაზ. „იმედი“ (№ 9, მეთაური წერილი) აცხადებს, რომ ჩვენ ამით მივეცით ახალი „განმარტება“, ე. ი. შევცვალეთ პირველი ჩვენი აზრი გამოთქმული „ჩვენ კვალის“ № 18-ში. ნამდვილათ კი, პირველათვე, ჩვენს პირველსავე წერილში სწორეთ იგივე სტრიქონები სწერია, რაც ეხლა მოვიყვანეთ. (იხ. „ჩვენი კვალი“ № 18) ასე რომ აქ აზრის შეცვლა და ახალი „განმარტება“ კი არ არის, არამედ სიტყვა-სიტყვითი განმეორებაა.

გაზ. „იმედი“ იმავე მეთაურ წერილში აცხადებს, ვითომ „კვალელები“ „სათანადო პროპაგანდას“ ეწეოდენ **მარტო** (ხაზი „იმედისაა“) იმ მიზნით, რომ დაჩაგრულ ნაციებს აქედანვე შეაგნებინონ „ნაციონალურ თვით არსებობის დაცვის უაღრესობა“; ვითომ „ჩვენი კვალის“ ჯგუფს გამოჰქონდეს „პოლიტიკური პროგრამა, რომელსაც მიზნათ **მხოლოდ ნაციონალურ თვით არსებობის დაცვა აქვს** (კურსივი „იმედისა“).

წინადადებას ვაძლევთ გაზ „იმედ“ს დაასახელოს „ჩვენი კვალის“ თუნდ ერთი სარედაქციო წერილი ანუ რომელიმე თუნდ ხელმოწერილი სტატია, საიდანაც შეიძლებოდეს ზემო აღნიშნული აზრების გამოყვანა.

იმავე გაზ. „იმედმა“ ამ დღეებში მოათავსა რ. ა.-ს სამი ფელეტონი, რომელიც წარმოადგენს ჩვენი საკამათო საგნის ანტიკრიტიკას. ამაზე შემდეგ მივცემთ მოკლე პასუხს. აქ კი შევნიშნავთ, რომ რ. ა-ს მთავარი არგუმენტი ჩვენს წინააღმდეგ მოყვანილი, პიტალო სიყალბეა. იგი სწერს, ვითომ ჩვენ ის აზრი გამოგვეთქვას, რომ ავტონომია არის „**ერთათ—ერთი** საშუალება მუშათა კლასის გაცნობიერებისა და მის ძალთა ორგანიზაციის გასაადვილებლათ“. აქ ხაზ გასმული სიტყვა მეფელეტონეს ბრჭყალებში მოყავს და თან აღნიშნავს ჩვენ წერილსა და გაზეთის №-ს, საიდანაც ვითომ იგი ამოღებულია. ნამდვილათ კი, აღნიშნულ ადგილას („ჩვ. კვალი“, № 18 გვ. 282) თეთრზე შავათ სწერია, რომ ავტონომია ჩვენთვის არის **ერთ—ერთი** საშუალება და სხ. ერთ-ერთი, ე. ი. ერთი მრავალთაგანი; ერთათ-ერთი კი ნიშნავს ისეთს, რომლის გარეშე სხვა აღარაფერი არ მოიპოება.

თუ ამხ. „ცენტრალისტებს“ ჩვენს წინააღმდეგ სხვა იარაღი აღარ მოეპოვებათ გარდა სიყალბე-პადლოგისა და სხ. ამისთანებისა, ცხადია ისინი ნაციონალურ საკითხში თავს ძალიან ცუდათ უნდა ჰგძნობდენ.

ინტერნაციონალის კრება.

(წერილი ბრიუსელიდან.)

ეს მეორეჯერ არის, რომ შემთხვევა მქონდა დავსწრებოდი ინტერნაციონალის კრებას ბრიუსელში; პირველათ ეს იყო ამ ორი წლის წინათ, როდესაც მაროკოს ავანტიურამ ევროპის ორი ბუმბერაზი სახელმწიფო: საფრანგეთი და გერმანია კინაღამ ერთმანეთს არ დააპტაკა; ინტერნაციონალმა თავისი ავტორიტეტული სიტყვა წარმოსთქვა და საფრანგეთის და გერმანიის მსუნაგ-შოვინისტურ ბურჟუაზიას თავ-ზარი დასცა, მან მაშინაც განსაცდელისგან დაგვიხსნა; მაშინ ლაპარაკობდენ ინტერნაციონალის ისეთი ბუმბერაზები, როგორიცაა ჟორესი, ბებელი, ვანდერველდი და სხვა; დღესაც, ევროპის პოლიტიკური ცა მოკუპრულია ბალკანეთის ამბებით. და თუ, ვინიცობა, დაიქექებდა საერთაშორისო ომი, მაშინ ვის დააწვებოდა თავზედ ყველა ეს ამბები მთელი თავისი სიმძიმით? რაღა თქმა უნდა, მშრომელ ხალხს და ამისათვის ინტერნაციონალს, როგორც მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველს და მისი სურვილების გამომხატველს, უნდა ეკუთნოდეს გარდამწყვეტი ხმა. ეხლანდელი ინტერნაციონალი ძალაა; ევროპის ბურჟუაზია იძულებულია ამ ძალას ანგარიში გაუწიოს; ინტერნაციონალი ლაპარაკობს, დიპლომატიამ მას უნდა მოუსმინოს, მეტი გზა არა აქვს.

ბალკანეთის შესახებ მკითხველმა უთუოდ იცის საქმის ვითარება და მე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოთ, რომ ახალგაზდა კონსტიტუციონალურ ოსმალეთს ყოველმხრიდან დაესიენ და უნდათ ლუკმა-ლუკმა დაწიწკნონ: ევროპის რეაქციონერებს ეხარბებათ რომ თავისუფალი, ახალგაზდა ოსმალეთი გადაიქცევა ძალათ და ამ ძალის ეშინიათ ევროპის შოვინისტებს, მათ უნდათ თავის ეგოისტურ მიზნისთვის ახალგაზდა, ჯერ კიდევ ნორჩს კონსტიტუციონურ ქვეყანას რამე ჩამოგლიჯონ და ამნაირათ, ახალგაზდა ოსმალების რევოლიუციონური სული ჩააქრონ, მათი ნაციონალური გრძნობა შელახონ და განახლებული ოსმალეთი რეაქციონერების და შავ-რაზმელების ხელში ჩააგდონ.—აი, ეს არის თავ-სატეხი და ვინ იცის, შეიძლება ყველა ამ გარემოებამ ომი გამოიწვიოს სახელმწიფოებთა შორის; ინტერნაციონალს ეხლა კიდევ ხელმეორეთ გარდასაწყვეტი ჰქონდა ის, თუ რა ზომებს უნდა მიმართოს პროლეტარიატმა, რომ ომი თავიდან აიშოროს და როგორ უყურებს საზოგადოთ ინტერნაციონალი ნაციონალურ ავტონომიებს. სანამ კრების რეზოლიუციებს გადმოგცემდეთ, მგონია მეტი არ იქნება მკითხველს

ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ თვით ინტერნაციონალის ვინაობა.

ეხლანდელი ინტერნაციონალი მეორეა ისტორიაში. პირველი ინტერნაციონალი დაარსდა 1866 წელს ჟენევის კონგრესზე, მაგრამ ამ ინტერნაციონალში მარქსსა და მარქსისტებს გარდა ბაკუნინი და ბაკუნისტები იდგენ; ბაკუნიზმის და მარქსიზმის ერთ ფერხულში დგომა, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო, ინტერნაციონალი დაეცა; მართალია, ინტერნაციონალი გაქრა, მაგრამ ინტერნაციონალური იდეა არ გამქრალა და 1889 წელს პარიზის კონგრესზე, მეორე, უფრო მედგარი და უფრო ძლიერი ინტერნაციონალი დაიბეჭდა; როგორი იყო პირველი ინტერნაციონალი, ან როგორია ეს მეორე ინტერნაციონალი? აქ უმჯობესი იქნება სიტყვა გადავცე თვითონ ვანდერველდეს და ეხლანდელ ინტერნაციონალის სეკრეტარს ჰისმანს. ვანდერველდე ამბობს ერთ თავის წერილში შტუტგარტის კონგრესის შესახებ: „მე ვნახე ამ ოცი წლის წინათ ამ ახალი ინტერნაციონალის დაარსება, ეს იყო პარიზში 1889 წელს; ეს ინტერნაციონალი არ იყო, როგორც პირველი, მებრძოლ კოსმოპოლიტთა მთავარი შტაბი—ეს იყო ნაციონალურ პარტიების ფედერაცია. სოციალისტები მაშინ ორ ბანაკათ იყვენ გაყოფილნი: ერთის მხრით პოსსიბილისტები—მეორეს მხრით მარქსისტები, მაგრამ ორი წლის შემდეგ (1891 წ.) ბრიუსელის კონგრესზედ ეს ორი ფრაქცია გაერთიანდა, ეხლა ინტერნაციონალური კონგრესები რეგულიარულათ იკრიბება—ინტერნაციონალური ბიურო ბრიუსელში დაარსდა და ეხლა ჩვენ შტუტგარტში შეგვიძლია გავზომოთ განვლილი გზაო“.

ეხლა ყური დავუგდოთ (Hiusmens-ს) ჰიუსმანს. „მეორე ინტერნაციონალი, ამბობს ჰიუსმანსს, კანონიერი მემკვიდრეა მუშათა ინტერნაციონალურ ასოციაციისა. თუ პირველი ინტერნაციონალი წარმოადგენდა ყველა მომქმედ ძალების ცენტრალიზაციას, ცენტრალურ კომიტეტის სახით, რომელიც ლონდონში იმყოფებოდა, ეხლანდელი ინტერნაციონალი დაარსებულია ფედერატიულ პრინციპზე, რომელიც წარმოადგენს რაც შეიძლება ინტიმიურ შეერთებას ყველა ნაციონალურ ორგანიზაციებისა, რომელთა ევოლიუცია უნდა ხდებოდეს თავ-თავიანთ ნაციონალურ პირობებში (milieu) და შემდეგ უერთდება სხვა ქვეყნების ნაციონალურ სექციებს პერიოდიულ ინტერნაციონალურ კონგრესებზე; მე თუ ვაყენებ ამნაირ კონტრასტს (განსხვავებას) პირველსა და მეორე ინტერნაციონალს შორის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ვაძაგებდე ერთს და ვაქებდე მეორეს. პირველ ინტერნაციონალს არ შეეძლო ყოფილიყო იმაზე მეტი, რაც იყო. ნაციონალური ორგანიზაციები იმ დროს მხოლოთ ისახებოდენ და საჭირო იყო ინტიმიური (შინაგანი) შეერთება-შეკავშირება ყველა მომქმედ შტოების გასაძლიერებლათ; მან განავითარა ორგანიზაციული მიდრეკილება მუშათა კლასში“...

ნამდვილათო, განაგრძობს ჰიუსმანსი, ინტერნაციონალი არ გამქრალა, მან მხოლოთ დეცენტრალიზაციის ფორმა მიიღო, რომ უფრო მაგრათ გაედგა. ფესვები სხვა და სხვა ნაციონალურ პირობებში; და როდესაც ხეები წამოიზარდენ განაყოფიერებულ ნიადაგზე, ხეები ტყეთ გარდაიქცა და ეს ტყე დღეს ამაყურათ გადასცქერის მთასაც და ბარსაც. 1900 წელს პარიჟის კონგრესზე ინტერნაციონალმა ბიურო დააარსა ბრიუსელში.

ეხლანდელ ინტერნაციონალურ ბიუროში 25 სხვა და სხვა ნაციონალურ სექციებს ყავთ თავისი წარმომადგენლები; ინტერნაციონალში შედიან მუშათა ის ორგანიზაციები, რომელნიც კლასთა ბრძოლის პრინციპზე დგანან და აღიარებენ წარმოების საშვალებების განსაზოგადოებას და ეკონომიურ ბრძოლასთან ერთათ აწარმოებენ **პოლიტიკურ**. ბრძოლასაც; ამნაირათ, ანარქისტებს და საფრანგეთის ანარქისტულ სინდიკალისტებს ალაგი არა აქვთ ეხლანდელ ინტერნაციონალში.

აი ეს ინტერნაციონალური ბიურო შეიკრიბა ამ. თვის ოქტომბრის 10-ს ბრიუსელში, რომელზეც შემთხვევა მქონდა დავსწრებოდი.

მინერი.

(დასასრული იქნება)

სახელმწიფო დუმა

15 ოქტომბერს დაიწყო სახ. დუმის სხდომები. პირველ სხდომაზევე დუმას ეუწყა, რომ მას გასარჩევათ ენახება 204 კანონ-პროექტი. მემარჯვენეებმა შემოიტანეს განცხადება ცხრა ნოემბრის კანონის შესახებ, რომელსაც, მათი აზრით, გლეხობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე, შეტანილ იქმნა 87 წევრისაგან ხელ მოწერილი შეკითხვა, რომელიც ეხებოდა იმ გარემოებას რომ 14 ოქტომბერს, პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა ნება არ დართო რაიმე კამათი გამართულიყო საზოგადო კრებაზე, სადაც პროფესორ პოგოდინს უნდა წაეკითხა მოხსენება ბოსნია-ჰერცოგოვინის ავსტრიის მიერ შეერთების შესახებ. გრადონაჩალნიკმა ნება არ დართო იმ მოსაზრებით, რომ მოხსენება უნდა წაკითხულიყო არა დახურულ, არამედ საზოგადო კრებაზე. შეკითხვის ავტორებს, 4 მარტის კანონის თანახმათ, უკანონოთ მიაჩნიათ გრადონაჩალნიკის მოქმედება და ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უდგენენ შემდეგ შეკითხვას: „1) იცის მან ზემოხსენებული ფაქტი თუ არა და 2) იქნება თუ არა ღონისძიება მიღებული 4 მარტის წესების დაუბრკოლებლივ მოქმედების უზრუნველსაყოფელათ. ვთხოულობთ, შეკითხვა საჩქაროთ იქნას აღიარებული“.

შეკითხვას მხარი დაუჭირა დეპ. **მაკლაკოვმა**. მან განიხილა გრადონაჩალნიკის მოქმედების ფორმალური მხარე, აღნიშნა ამ მხრით განკარგულების უკანონობა, აღნიშნა თუ რატომ უფრო მეტის ყურადღებით უნდა

მოეპყროს დუმა ამ შეკითხვას და განაგრძო: „ეს (ბოსნია-ჰერცოგოვინის საკითხი) ისეთი საკითხია, რომლის შესახებ უთუოთ უნდა გამოითქვას საზოგადოებრივი აზრი. ეს საზოგადოებრივი აზრი, შეიძლება, უფრო ძლიერი იყოს და ნაკლებ შეცდომებიც გამოიჩინოს, მან, ვიდრე მთავრობის ოფიციალურმა დიპლომატიამ. იმ საყურადღებო პოლიტიკურ მომენტში, რომლის მოწამენიც დღესა ვართ, ხმა მაღალი და ერთსულოვანი აღიარება საზოგადოებრივ აზრისა მთავრობის, რომელსაც მიზნათ აქვს ეროვნულ ღირსების დაცვა, დაბრკოლებას კი არა, დიდ შემწეობას აღმოუჩენს (საერთო ტაშისცემა). აი, ამისთანა მომენტში, გრადონაჩალნიკის განკარგულება არა მარტო რუსეთის თვალშია უკანონო და ანტინაციონალური—რუსეთი კარგა ხანია შეეჩვია უკანონობას—არამედ მთელ ევროპაშიაც ჩათვლილი იქნება უკანონობათ (საერთო ტაშის ცემა). რაც გუშინ მოხდა, ცუდის მომასწავებელია: ან მთავრობას არ სურს გაიგოს საზოგადოებრივი აზრი ამ საგნის შესახებ, ან კიდევ უარესი: განზრახვა აქვს ხსენებულ საკითხში რუსეთის საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგი პოლიტიკა აწარმოვოს. აი, ამიტომ სათათბირო უეჭველათ უნდა შეეკითხოს მთავრობას და გააგებიოს მას, რომ რუსის ხალხს ნება აქვს თავისი აზრი გამოსთქვას ხოლმე ისეთ საქმეებზე, რომელნიც მის ღირსებასა და ინტერესებს შეეხებიან“ (საერთო ტაშის ცემა). მაკლაკოვის ლაპარაკის დაწყებისთანავე, პურიშკევიჩმა სიტყვა მოითხოვა, მაგრამ უკანასკნელათ, როცა შენიშნა დუმის ერთსულოვნება ამ საკითხში, თითონვე უარი სთქვა სიტყვის თქმაზე. დასასრულ შეკითხვა საჩქაროთ იქნა აღიარებული.

ამასთან, დუმამ გადასწყვიტა სხდომები გამართოს კვირაში სამჯერ, 11-დან 6 საათამდე.

სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის კომისიაში სხვათა შორის აირჩიეს ტრუდოვიკი როზანოვი, ს. დემოკრატი ბელოუსოვი და ა. მ. კოლიუბაკინი.

20 ოქტომბრის სხდომაც

დუმამ წვრილმან საქმეებს მოანდომა. დაამტკიცეს კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ სახაზინო სამკურნალო წყლებს ეძლიოს ყოველწლიური შემწეობა—50, 565 მანეთი—1911 წლამდე. კამათის დროს ზოგიერთებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ეს წყლები ადგილობრივ თვითმართველობას უნდა გადაეცესო.

გრძელი კამათი გამოიწვია მთავრობის პროექტმა იმის შესახებ, რომ პირუტყვთა და მცენარეთა მოვლა-მოშენების საზოგადოებას მოსკოვში შემწეობა მიეცეს, რადგან 1905 წლის რევოლიუციის დროს დაზარალდაო.

ბელოუსოვი და ჩხეიძე უსაბუთოდ სთვლიან მთავრობის მოთხოვნას: ხსენებული საზოგადოება სოფლისათვის არსებობს და აბა კითხეთ ხალხს—იცის მან ამ საზოგადოების არსებობაო? ანდა რა კავშირი აქვს აკლიმატიზაციის საქმესთან ოპერეტტას და კაფეშანტანს, რომელნიც გამართულნი არიან მოსკოვის ხსენებულ ზოოლოგიურ ბაღში?

ბოლოს, ხმის უმეტესობით ამტკიცებენ პროექტს. შემდეგ, კაპუსტინის და ალექსეევის მოხსენების თანახმათ, სათათბირო ამტკიცებს რვა კანონ-პროექტსა სხვა და სხვა სამეცნიერო საზოგადოებათათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ. დასასრულ კამათი გამოიწვია საკითხმა, თუ რომელი კანონ-პროექტი გაირჩეს პირველათ: ადგილობრივ სასამართლოს შესახებ თუ 9 ნოემბრის აგრარულ კანონის შესახებ. სათათბირომ დიდი ხმის უმეტესობით დაადგინა—პირველათ 9 ნოემბ. კანონ-პროექტი იქნას განხილული.

სხვა-და-სხვა ამბები

ჩვენში

◆ კავკასიის ნამესტნიკი, რომელიც 20 ოქტომბერს უნდა წამოსულყო პეტერბურგიდან, ჯერჯერობით დარჩენილა. ნამესტნიკს აზრათ ქონებია დაესწროს კამათს სახ. დუმაში კავკასიის შესახებ.

◆ ქართული თეატრის შენობა მზათ იქნება პირველ დეკემბერს. პირველ დეკემბრსავე გაიხსნება ქართულ წარმოდგენების სეზონი. 20 ოქტომბრიდან ქართული დასი უკვე შეუდგა რეპეტიციებს.

◆ სამოსწავლო მთავრობამ ქალაქის თვითმართველობის წინაშე ხელახლა აღძრა შუამდგომლობა, რომ ქალაქმა აღმოუჩინოს ორი ან სამი ათასი მანეთით დახმარება 1 გიმნაზიის ვერის განყოფილების ცალკე გიმნაიათ გადასაკეთებლათ.

◆ 17 ოქტომბერს შედგა თფილისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის სხდომა. სხდომას უნდა განეხილა, თუ რა გვარი დამოკიდებულება ქონოდა ადმინისტრაციის განკარგულებასთან ადგილობრივ ენებზე ლექციების აკრძალვის შესახებ. გამგეობამ დაადგინა: განაგრძოს მოქმედობა ასეთი ფრთა შეკვეცილი უფლებითაც. ამავე სხდომაზე, სხვა წვრილმან კითხვათა შორის, დაადგინა აირჩიონ ცალკე საფინანსო კომისია და შეუდგენ წერა-კითხვის შესასწავლი სკოლის მოწყობის გეგმის შემუშავებას.

◆ აკაკის საიუბილეო მთავარმა კომიტეტმა დაადგინა იუბლეი 30 ნოემბერს გადაიხადოს. კომიტეტმა მოისმინა აგრეთვე ქუთათურების მოხსენება აკაკის იუბილეის ქუთაისში ცალკე გადახდის შესახებ და დაადგინა: ქუთაისში განზრახული ცალკე საიუბილეო დღესასწაული ისე უნდა მოეწყოს, რომ მან ხელი არ შეუშალოს საერთო ეროვნულ დღესასწაულს. ყოველივე წარმოდგენების შემოსავალი, შემოწირულებანი და სხ. უნდა შეადგენდეს ერთ განუყოფელ ფონდს. საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ადგილობრივი დეპუტატები უნდა ჩამოვიდენ ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილნი. კომიტეტმა მოისმინა თფილისის წვრილ-ვა-

ჭართა დადგენილება აკაკის იუბილეის გადახდის შესახებ და აირჩია მათ წარმომადგენლათ წესრიგის კომისიაში იოსებ მერკვილაძე.

✦ ქ. შ. წერა-კითხვ. გამ. საზ. გამგეობა საგურამოში მასწავლებლათ გზავნის მაქ. მარკოზაშვილს და გიორგი-წმინდაში ირ. ჭიპაშვილს.

✦ ქართული სტამბის 200 წლის არსებობის იუბილეის პროგრამის გამოსამუშავებლათ გადაწყვეტილია მოხდეს შეერთებული სხდომა წ.-კ. ს. გამგეობისა და საისტორიო-საეტნოგრაფიო საზოგადოებებისა.

✦ ხვალ, 27 ოქტომბერს თფილისში გამოვა ახალი, სამხატვრო ჟურნალი „ფასკუნჯი“. გაზეთი გამოვა ორშაბათობით.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი ჟურნალი „Извѣстія Тифлисской Городской Думы“ ჟურნალი პერიოდული იქნება.

ქუთაისი.

აკაკის იუბილეის მომწესრიგებელ კომისიამ უკვე დაასრულა გეგმის შედგენა; სხვათა შორის, გადასწყვიტეს მის იუბილეის დღეს წარმოდგენიდან შემოსული ფული გადაეცეს საჩუქრათ იუბილიარს.

✦ რეალურ სასწავლებელში მოწაფეთა და მასწავლებეთ შორის დამოკიდებულება გამწვავდა: მიზეზი ფრანგული ენის მასწავლებლია. ყმაწვილების მხრით უწესოებას მოყვა მთელ მე VI კლასის მოსწავლეთათვის ყოფაქცევაში 3 დაწერა და 2 ყმაწვილის გამორიცხვაც. ესენი გუშინ ისევ მიიღეს.

✦ 11 ოქტომბერს ადგილობრივ კლუბში გაიმართება საღამო ქართული გიმნაზიის იმ მოსწალეთა სასარგებლოთ, რომელთაც წელს სწავლა დაასრულეს და სიღარიბის გამო ვერ გაემგზავრენ უნივერსიტეტში.

✦ 21 ოქტომბერს, დილის 12 საათზე გაიმართა ქალთა კრება, კრებას საკმაო რიცხვი დაეწრო. თავმჯდომარემ კრებას გაუმარტა მისი მოწვევის მიზეზი, აღნუსხა აკაკის იუბილეის მომავალი მიმდინარეობა და წინადადება მისცა მათ თავის წრიდანაც აერჩიათ კომიტეტისათვის ქალები. ამისთვის კრებამ ფარული კენჭის ყრით აირჩია 10 ქალი, რომელთაც ენერგიული ზომები უნდა მიიღონ დღესასწაულის ღირსეულათ გასამართავათ.

✦ საავათმყოფოს სანიტარულმა კომისიამ წინადადება მისცა სანიტარებს, რომ 10 დღ. განმავლობაში თუ სახლის პატრონებმა თავიანთი სახლები არ გაასუფთავეს, მაშინ მათ ხარჯზე გაიწმინდოს სახლები და კიდევ ოქმი შეუდგინონ მათ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.

✦ სკოლის ადმინისტრაციამ ქართულ გიმნაზიაში მათემატიკის მასწავლებლათ მოიწვია ნოვოროსიის უნივერსიტეტში კურს დამთავრებული წერეთელი.

✦ 20 ოქტომბერს მოჰმადიანმა დარაჯმა თოფის კონდახით თავი გაუტეხა ქალაქში სავაჭროთ ჩამოსულ სოფლელ გლეხკაცს.

✦ 21 ოქტომბერს ქუთაისს ესტუმრა ფრანგი ჟურნალისტი ბ-ნი რენე ოდენი, რომელმაც 100,000 ფრანკის ნიზლაობით ოთხი წლის განმავლობაში დედამიწის გარშემო უნდა შემოიაროს, ქვეითათ. წამოსულა პარიზიდან 1 აპრილს 1908 წელს. აქაური საზოგადოება დახმარებას უწევს ფულითა და რაც შეიძლება პატივს სცემს მას. სამშაბათს თეატრში იყო.

✦ ქალაქის საავათმყოფოს შეკეთებას უპირებენ.

რ უ ს ე თ შ ი.

— სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: ელისავეტგრადში—7, დუბნოში—2, რეველში—4, ვიატკაში—4, კრემენჩუგში—3, კიევში—16, ნიჟნი-ნოვგოროდში—4, ეკატერინოსლავში—4, რიგაში—1, ხარკოვში—6, ეკატერინოდარში—3, ხერსონში—7, მოსკოვში—2, ვარშავაში—2.

— სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში—1, სარატოვში—1, ეკატერინოსლავში—1 („რეჩი“ №№ 243—250).

— ვარშავის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა „საყოველთაო უნივერსიტეტის“ ბიბლიოთეკა, სამკითხველო და ყველა სხვა დაწესებულებები, რომელსაც მიზნათ ქონდა მეცნიერულ ცოდნის პოპულიარიზაცია ხალხის ფართო წრეებში. დახურვის შემდეგ დააპატიმრეს უნივერსიტეტის გამგეობის ყველა წევრები, სხვათა შორის ცნობილი მწერალი, ავტორი „უსახლკაროთა“, „ცოდვათა ისტორიის“ და სხ.—სტ. ჟერომსკი.

— ამას წინათ ხარკოვის სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე ნაფიც ვექილებისა და თანაშემწეებისა. ბრალსა სდებდენ იმაში, რომ ისინი 1905 წლის ოქტომბრის დღეებში ძალდატანებით ცდილან სამოსამართლო პალატის დეპარტამენტს შეეწყვიტა მეცადინეობა, რისთვისაც ისინი გარს უვლიდენ კანცელარიას და წინადადებას აძლევდენ მდივნებს, შეეწყვიტათ მეცადინეობა.

პალატამ, 15 წამის ოათბირის შემდეგ გამოიტანა თავის განაჩენი, რომლითაც აღნიშნულ პირებს ეცხადებათ „ვიგოვორი“.

— საგზაო სამინისტრომ განცხადება შეიტანა მინისტრთა საბჭოში, რომლითაც თხოულობს 1,254,030 მან. ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზისათვის.

— პეტერბურგში დაარსდა „რუს მუშათა კავშირი“. კავშირის მიზანია განავითაროს თავიანთ წევრებში პოლიტიკურ მოღვაწეობასთან შეგნებული დამოკიდებულება, რაც დამყარებული იქნება პატრიოტულ ნიადაგზე. კავშირმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ყოველგვარ გაფიცვას. მთავრობამ გამორიცხა კავშირის წესდებიდან ის მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ კავშირიდან გამორიცხება ის წევრი, რომელიც სამშობლოს და მეფეს უღალატებსო.

— 16 ოქტობერს მოსკოვში გაიხსნა ახლათ დამტკიცებული საზოგადოება „სლავიანთა კულტურისა“. საზოგადოების თავმჯდომარეთ აირჩიეს ფ. კოში, მის ამხანაგებათ დავიდოვი და პროფესორი კომაროვსკი. საზოგადოების მიზანია გავლენა იქონიოს რუსეთის საზოგადოებრივ აზრზე ბოსნია ჰერცოგოვინის და საზოგადოთ ბალკანეთის საქმეთა მდგომარეობის შესახებ. ამ მიზნით საზოგადოება გამართავს ლექციებს, რეფერატებს და სხ. სადაც განმარტავენ აღნიშნულ კითხვას.

— აიკრძალა გ. პლეხანოვის წიგნი: „რუსი მუშა რევოლიუციონურ მოძრაობაში“.

„მონგოლები“.

ამ თვის 15-ში დატვირთული დეპუტატები ხვნეშით მიადგენ თავრიდის სასახლეს. რასაკვირველია, ყველა მათგანმა მიიტანა სავსე გუდა თავის წოდების და მიდრეკილ-მოდრეკილობის შესაფერი. რა ბაჯაღლოები გადმოცვივდება ტომრებიდან, ამას მალე დავინახავთ, ხოლო დასაწყისი კი უკვე ვიცით;

ვიცით, რომ სხდომის დაწყებამდე ეპისკოპოს ევ-

ლოგის პარაკლისი გადაუხდია, პარაკლის შემდეგ უმღერიათ, სიმღერის შემდეგ უძახნიათ, „ურაااა“.

აფერუმ! მივაძახოთ ჩვენც და მოვისმინოთ ახლა მეორე ეპისკოპოსის ტიბიკონი:

როგორც გაზ. „რეჩი“ იტყობინება, სათათბიროს გახსნის ორი დღის წინეთ „13 ოქტომბერს, სარატოვში ეპისკოპოსმა გერმოგენმა სობოროში დაარიგა დაბეჭდილი წერილები. ამ წერილებში ეპისკოპოსი დეპუტატებს იხსენიებს მოღალატეებათ, „ზაბასტოვშჩიკებათ, ხალხის მტრებათ და მის მძარცველებათ; ის მოუწოდებს ხალხს მოიყარონ თავი ღვდელ-მთავარის გარშემო და იხსნან მართლმადიდებლობა მონგოლთა შემოსევისაგან“.

ჩვენ რასაკვირვე ია ეპ. ევლოგის „მონგოლობაში“ ეჭვი არ შეგვაქვს, მაგრამ ეპ. გერმოგენი კი როგორც ხედავთ, უპირველესათ მას უნდა ემუქრებოდეს, როგორც „მონგოლთა“ მაკურთხებელს, მათთანა მჯდომარეს და მაშასადამე, როგორც „მონგოლს“. რომელი ეპისკოპოსია მართალი, ამის გამოცნობა „ქრისტიანებს“ მივანდოთ.

ხოლო ჩვენ კი გავიხსენოთ ძველი ებრაული რჯული. ამ რჯულით მამის დანაშაული შვილიდან შვილზე გადადიოდა და მეშვიდე თაობამდე ყველა მათგანი ცოდვილი იყო. ასეთივე ხვედრი სწვევია არა ებრაელს, არამედ რუსს, პირველი სათათბიროს წევრის, ჩიჟევსკის შვილს...

მას „ალექსანდროვის ზემსტვომ“ მოუსპო სტიპენდია, რადგან მისმა ძამამ ხელი მოაწერა ვიბორგის მოწოდებას. რომელ თაობამდე გაჰყვება ჩიჟევსკის ჩამომავლობას ეს ცოდვა, ღმერთმა უწყის.

ადამიანთა გარდა თვით განგებაცა ძიებს შურს სახ. სათათბიროზე: როგორც გაზეთები გადმოგვცემენ „სათათბიროს დეპუტატს პურიშკევიჩს თხოვნა შეუტანია სამთო ინსტიტუტში, თავისუფალ მსმენელათ მიმიღეთო“. სწორეთ რომ მართლა „მონგოლების“ ბრალია, ეთო“. სწორეთ რომ მართლა „მონგოლების“ ბრალია, პურიშკევიჩის შუბლის ტერმომეტრი? მართალსა ბრძანებს, მართალს მამა გერმოგენი!

ჯერ-ჯეროობით ეს მოხდა, როგორც სათათბიროს შიგნით, ისე სათათბიროს გარეთაც; რით გვასიამოვნებენ შემდეგში, ამასაც დავინახავთ!

*
* *

მაგრამ „მონგოლები“, მარტო სახ სათათბიროს კი არ შესევიან. ისინი შესევიან ქ. თფილისსაც, ნახალოვკამ დაიპყრო მისი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე, გაასწორა მისი ოღრო-ჩოღროები თვისი ოფლით, მისცა ქალაქს აშენებული კუთხე, შესძინა მას ქანქარი იმ ვერანა ადგილებიდან, საითაც სოლოლაკელები წინეთ დურბინდით იყურებოდნენ. და აი, ეხლა, როდესაც მათ შეძლება მიეცათ გაიარონ ამ ქუჩებში ეტლებით და ლორნეტებით გადმოხედონ „მონგოლებს“, მათ მოიწადინეს „ურჯულოთა“ განდევნა. მაგრამ, ესენი უფრო ჭკვიანი სტრატეგები გამოდგნენ. მათ კარგათ იციან, რომ „მონგოლებს“ ვერ დააფრთხობს ვერც საკმელი, ვერც საცეცხლური და ვერც ანაფემა. ამიტომ, მიჰმართეს უფრო ადვილს, მაგრამ, მართლაც გასამარჯვებელ საშუალებას: დაადვეს ხარკი „მონგოლებს“, დაადვეს იმისთანა ხარკი, რო დაწითლებული ყარამან-ყარდაშიც ვერ ასწევს, არა თუ პაწია გაყვითლებული „მონგოლი“. ის მიწები, რომელზედაც დაესახლენ „ძალათ უბნელები“, წარსულ კვირას შეაფასა ქალაქის გამგეობის კომისიამ, და საჟენზე ფასი 30 მანეთამდე ასწია. აი, აქ ჩაუტეხა წელი ქალაქის გამგეობამ „მონგოლებს“, მან უხელთა მათ დრო, ვინაიდგან წინეთ ესავე მამულები შეფასებული იყო საჟენი არა უმეტეს 50 კაპეიკისა. ქალაქის გამგეობა კი მაშინ განგებ არ მოურიგდა „ძალათ უბნელებს,“ ხოლო ეხლა კი, როცა მის ხელშია ბერკეტი საძირკვლის ამოსაგდებათ და ჩაქუჩი მათ ჭერის დასანგრევათ, ახლა იხელთა ღრო და დაუშინა „მონგოლებს“ „ოცდაათ ფუთიანი“ მუშტები.

ღვთიური სიტყვა ყოველთვის სრულდება. არაა ისეთი კუთხე, სადაც გერმოგენის „მონგოლების“ დღეს ზენაარსის რისხვა არ დასტეხოდეთ თავს. როგორ ვიცით, უმაღლესმა მთავრობამ თფილისის სახალხო უნივერსიტეტში აკრძალა ქართულ, სომხურ და სხვა ადგილობრივ ენებზე ლექციების კითხვა. აკრძალა და მით, რასაკვირველია, განდევნა იქიდამ „მონგოლები“. ყოფნა, არ ყოფნა! აი, რა არის საკითხავი დღეს სახალხო უნივერსიტეტისათვის თფილისში.

*
* *

დასასრულ ერთი სასიამოვნო ამბავი. ქალაქ თბილისის ხმოსანი ხატისოვი დაგვირგვინებულა, მირონცხებულა, კურთხეულა მეფეთ ნათლულისა. თუმცა ჯერ-ჯეროობით მას 400 ოჯახი ჰყავს ქვეშევრდომათ, მაგრამ ჩვენს დროში თუ ვისმე ეს ოთხასი მაინც შერჩა ერთგულ ყმათ, ესეც დიდი რამ არის. ხატისოვს კი, როგორც ვიცით ბედი სწყალობს; მთელს მის სახელწოფოს მისივე სახელი დაურქმევია. რათა ყოველთვის თვალწინ ედგას ერს მისი ხატება, მისი გვირგვინოსნობა, მისი ნაკურთხი კვერთხი. საიდამ მოიპოვა ხატისოვმა პორფირი, ამასაც მოგახსენებთ:

ქალაქ თფილისის გამგეობამ რკინის გზის მოსამსახურე 400 კაცს მისცა იჯარით დასასახლებელი მიწები ნავთლუღის ახლოს. მომავალ სოფელს გადაუწყვეტიათ „ხატისოვკა“ უწოდონ.

დიახ, დღეს ჯვაროსანთა ომია „მონგოლთა“ წინააღმდეგ, საერთო ამხედრება და აი, ხატისოვსაც უხელთნია დრო, უშოვია გვირგვინი. ის ბოლოდან შემოსევია თფილისს და იმედია როცა თავში ავა, თფილისსაც სახელი გამოეცვლება. დიახ, ბრწყინვალე მომავალი მოელის ჩვენს დედა ქალაქს!

ავტორი.

*
* *

ფრთები შეისხი ოკნებავ!..
გამტყორცნე უცხო მხარეში,
თორემ აქ გული გაწყალდა
სულ მუდამ სიმწუხარეში.

ვერ ვპოვე სულის სიმშვიდე,
აქვითინ-აკვნესებულმა,
შავ-ბედით, ტიალ-ცხოვრებით
დაჩაგრულ — დაკნინებულმა,
გამხეცებული მტარვალი
მუსრს ავლებს ტანჯულ-მოძმეებს,
არ ინდობს დიდსა, პატარას,
აყენებს სისხლის ტბორეებს...

მომაკვდავთ გმინვა გაისმის
მთა-ბარათ, მინდორ-ველათა,
ცოცხალ-მკვდართ სვავნი ჰკორტნიან,
არვინ ყავთ მფარველ-მცველათა.

მინდა ვეკვეთო ქვეყნის მტერს,
შუა გავაპო წყეული,
ანდა შევაკვდე გმირულათ
სიცოცხლე მოძულებული.

მაგრამ... ბორკილი, ხუნდები
აღარ მაძლევენ ნებასა,
და გალაღებულ მტარვალსა
ველარ ვაყენებ ვნებასა...

ფრთები შეისხი, ოკნებავ
გამტყორცნე შორს, სხვა მხარეში,
თორემ გაწყალდა გული აქ,
ტანჯვა და სიმწუხარეში.

ბ. პელაშვილი.

მნათობთა ჩივილი.

— : —

მოხდა უცნაური ამბავი, რის მსგავსიც არ ახსოვს მარადისობას.

სადღაც, სამყაროს უხილავ კუთხეში სივრცის საშოთხისებურ მდელოზე შეგროვილიყვენ ცის მნათობნი.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, დიდი, რაც მათ პირველად იხილეს ქვეყანა.

თვითონაც არ ახსოვთ თავიანთი დაბადება.

მათი შუქ-მფენი სხივებიც კი ვერ ხედავენ მათ დასაწყისს და ამ ხნის განმავლობაში არც თვითონ და არც დროს არ ახსოვთ, რომ ისინი ოდესმე შეხვედროდენ ერთი-ერთმანეთს.

ეს იყო პირველი შეხვედრა მათი.

შუაში იჯდა მზე, მზე მშვენიერი.

მისი ლაპლაპა მკერდი მოუსვენრადა ქშინავდა; ვერც თავისი სწრაფი, დიადი ღელვა დაეცხრო. ის უხვათ იგლეჯდა გულიდან თბილ-თბილ სინათლეს და ლამაზ-ლამაზ სხივებათ უგზავნიდა მთელ არე-მარეს.

მარჯვნივ, მზის ცელქათ მოთამაშე სხივებზე - კოხტათ ჩამოსკუპებულიყო ბადრი მთვარე. მისი ნაზი, მკრთალი სახე ყველას ულიმოდა, ყველას უცინოდა. იგი თავის საარშიყოთ გამზადებულ მეოცნებე თვალებს ხან ერთი მნათობის წინ ჩალულავდა სიამოვნებით და ხან მეორისა.

მთვარე ჰხარობდა, მთვარე ჰნეტარობდა.

მარცხნივ საუცხოვოთ იწმაწნებოდა ცისკარი; მას კოპწიათ წამოესხა მზის ლაჟვარდოვანი სხივები და კეკლუცის სიამაყით აფრიალებდა აქეთ-იქით თავის შუქ-მფენ, სპეტაკ პორფირს.

მათ უკან იდგა შუქურ-ვარსკვლავი.

ახ, რა მედიდურია იგი, რა მედიდური!

ის სხივ-შეუხრელათ, გაშტერებით იყურებოდა შორს—შორს სივრცეში. იმის სახეს .არ ემჩნეოდა არცა ღიმილი, არც სიხარული; იმისი მშვიდი და უხვი, თეთრი სხივები ამტკიცებდენ მის სიდიადეს, მის სიფაქიზეს.

ესმის შუქურს თავის ღირსება, მიტომ ამაყობს და მედიდურობს.

შუქური ისე გაშტერებულიყო და გაეტაცა თავის კმაყოფილებას, რომ ველარც კი ამჩნევდა იქვე გვერდზე მდგომ წითლათ მოლადღადე მარსს.

მარსიც ღვარძლიანი ყოფილა, ღვარძლიანი,

მას არ უნდოდა ეპატიებინა შუქურისთვის ესეთი გულ-ცივობა. გაფთრებული ჩქარი-ჩქარ მიუბრუნდებოდა ხოლმე მას, ჩამოგლეჯდა სწრაფად მოთეთრო სხივებს, აადენდა თავის ალმურს და მზისაგან ნაბოძებ სხივებთან ერთათ მისთავაზებდა ხოლმე წითელი ატლასის ლენტებივით მახლობელ მნათობებს.

იქვე დახტოდა გიჟმაჟი მერკური.

ახ, რა მოუსვენარი ყოფილა თურმე ის, რა მოუსვენარი!

რამდენჯერ შემოურბინა ხტუნაობით თავის საყვარელ მზეს; რამდენჯერ მიეპარა მორცხვათ მჯდომარე ლამაზ ცისკარს და გემრიელათ, თავ-დავიწყებით ჩაეკონა იგი მის ფაქიზ, ნაზ სხივებს; რამდენჯერ გაუკუნტრუშა შორიდან მოარშიყე-მოღიმარე მთვარეს, მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერ მოსვენებას არ აძლევდა მარსის გვერდით მდგომარე სატურნს.

მოეწყინა სატურნს!

მის სხივებს შემოჰკლებოდათ სიცოცხლე და სიმამაცე. ის ისე დაღვრემილიყო, რომ მერკურის სიცელქე და ხუმრობა უბრალო ღიმილსაც კი ვერ ჰგვრიდა მის მოწყენილ-მოღუშულ სახეს.

წინ ძვირფასი იაგუნდებივით გაბნეულიყო ხომლის გუნდი.

ყველა ნეტარებით შესცქეროდა მათ მოწყვეტილ სილამაზეს, .მაგრამ სულ ყველაზე ძლიერ მათზე ეპირა თვალი შორი-ახლოს მოციმციმე სირიუსს.

იგი ჰლამობდა, რომ თავისი წარმტაცათ მოელვარე სხივები უფრო საოცნებოთ შეემკო ხომლის ძვირფასი მარგალიტებით და მაშინ კი... მაშინ კი უეჭველათ მოაჯადოვებდა მის წინ გამოჭიმულ საუცხოვო ორიონს.

ლამაზი სირიუსი თავდავიწყებით ეარშიყებოდა ამ ცის მშვენებას და თავისი ცქრიალა, კეკლუცის საიევებით წამ და უწამ ანიშნებდა მას თავის გულის ძგერას. ორიანიც თანაუგრძნობდა.

სირიუსის არშიყობით მასაც უტოკდა ფული. ის უფრო მეტის გულდადებითა და გატაცებით აპრიალებდა თავის სამთვალა სარტყელს და სირიუსსაც სალამს უძღვნიდენ თავიანთი მოუსვენარი კამკამით, მისი ლალისა და ბრილიანტის ცოცხალი თვალები, რომლებიც ცარიელა სილამაზეს და მიმზიდველობას აფრქვევდენ თავიანთი სხივებით.

მთელი გარემო შემკული იყო ერთი-ერთმანეთზე ულამაზესი მნათობებით.

იგინი ერთი-ერთმანეთს ეჯიბრებოდენ სიკეკლუცესა, სილამაზეში, შუქმფენებას, და სხივოსნობაში, მრავალფეროვნებასა და უცნაურობაში.

მათ შუქს შეექმნა უშველებელი შარავანდედი, რომლის სინათლეზეც ხორც შესხმულივით მოსჩანდენ ანგელოზები და ეთეროსნები.

ყველა ამას შორი-ახლოდან მედიდურათა და მშვიდათ უცქერდა მხარ-თეძოზე წამოწოლილი დრო.

მას ფართე მკერდზე მკვდარი სხივებივით გაეფანტა თავისი ჭალარა წვერი. ფრთებიც დაეკეცა და დაეშვა ძირს.

ისიც კი ისვენებდა!

მ ზ ე.

— აბა მნათობნო, უმშვენიერესნო, ულამაზესნო, უკეკლუცესნო! ნეტავ რას მეტყვით? რას მახარებთ?

მე გული მიძგერს.

მნათობნი.

— დამშვიდდი მზეო!

— ნუ ღელავ მზეო!

— დაწყნარდი, გენაცვა!

— ნუ ღელავ, ლამაზო!

მ ზ ე.

— ოო, საყვარელნო, სანატრელნო, სამყაროს შვილნო! მე ჩემის სხივების ირთოლვით ყურს გიგდებთ თუ რას ჩამჩურჩულებთ თქვენის საკოცნელის სხივებით.

სთქვით, გენაცვა, სთქვით!

მნათობნი.

— რა ტკბილი ხარ, მზეო!

— რა საყვარელი, ხარ, მზეო!

— რა მადლიანი ხარ მზეო!

— რა წარმტაცი ხარ, მზეო!

მ ზ ე.

— გენაცვალებით, ნუ გავიწყდებაო: **დრო** ჩვენ გვიცდის, ჩვენ გველოდება; მაშ ჩემ ქებაზე ნუ აცდევინებთ და პირდაპირ სთქვით თქვენი სურვილი!

სთქვით, რა გწადიათ!

მნათობნი.

— ჩვენ მოგვეზრდა დედამიწის ცქერა!

— ჩვენ შეგვეზიზღა იმისი სახე!

— ჩვენ აღარ გვინდა მის არსებობა!

— მოსპევი, მზეო, მთლათ დედამიწა!

— გააქრე მზეო, იმის ნასახი!

— გევედრებით!

— გეხვეწებით!

— გემუდარებით!

ამის გაგონებაზე შეკრთენ მზის სხივები და მათ მშობელსაც ნათელ სახეზე თითქოს შავი პირ-ბადე გადაეფარაო.

მ ზ ე.

— ოო, სხივოსნებო! რამ აგაშფოთათ? რისთვის გაგიწირიათ ეგრე სასტიკათ თქვენი მოძმე დედამიწა? რით დაიმსახურა მან თქვენ უმშვენიერესთა, ულამაზესთა და უსაყვარლესთა წყრომა?

შეირხენ მნათობნი. აელვარდენ მათი სხივები და დაემზადენ მზის საპასუხოთ; მაგრამ აქამდის წყნარათ მანათობელმა შუქურმა უეცრივ მოიქნია თავისი სპეტაკი სხივები და ჩააჩუმა ყველანი.

მთვარე და ცისკარი ბევრს ეცადენ ჯერ თვითონ აეყღერებინათ თავიანთ გულში ნადები. ბევრჯერ წაჰკრეს შუქურს მუჯლუგუნი თავიანთი ჰაეროვანი, მონარნარე სხივებით, მაგრამ არ შეეპოვა მათ შუქური.

პირველობა მაინც იმან აიღო.

შეჰკუმშა თავისი სხივები და მოწყვეტით სტყორცნა მზეს.

— მზეო ლამაზო, სათაყვანებო! ერწმუნე ჩემ შუქს, შენგან ბოძებულს, რომ დედამიწა ღირსი არის განადგურების. რიღას მაქნისია ეხლა ის, როცა იქ ყველა სიმდიდრე განადგურებულია, როცა ყველა სიდიადე გათახსირებულია და დაცემული; როცა სიუხვესა და პატივისცემას იქ ერთი ბეწვა კუნქულიც კი აღარა აქვს!

ო, მზეო! ჩემი სხივები ისერებიან დედამიწის ტალახში!

მე აღარ შემიძლიან მისი ცქერა!

ის თავისი გათახსირებით შემარცხვენელია სამყაროს დანარჩენ მშვენიერ მნათობთა.

გაანთავისუფლე მის ცქერისაგან!

მოსპე იგი!

მნათობნი.

— დედამიწა გვარცხვენს.

— ის გათახსირდა!

— ის ღირსია მოსპობის!

— ღირსია მოსპობის!

— ღირსია მოსპობის!

მზეს თითქოს გული დაეწვაო, ერთი ამოიქშინა და უშველებელი ცეცხლის ალი აღმოხდა მკერდიდან.

მთვარე.

— გენაცვალები, მზეო ბრწყინვალე! მეც დამიხსენი მიწის ცქერიდან!

მ ზ ე.

ეხ, მთვარეო, მთვარეო! მაშ შენც გასწირე დედამიწა?

მთვარე.

რა ვქნა გენაცვა! ეს ისევ დედამიწის ბრალია.

ოი, მზეო, მზეო! რომ იცოდე როგორ მენატრება, რომ ჩემ შუქზე, ჩემ უხილავ სითბოზე მწიფდებოდეს ნეტარი, ფაქიზი სიყვარული სიწრფელითა და თავდავიწყებით შემკობილი! როგორ მენატრება, გულიდან სიხარულითა და გატაცებით ამოწყვეტილი კოცნა, როგორ მენატრება!...

მეც ვეალერსებოდი, ვკოცნიდი ჩემი ფაქიზის შუქით; მ გრამ რა ვუყო, როცა დედამიწაზე სიყვარულისა და სიხარულის მაგიერ ვხედავ მოტყუებას, გაიძვერობას, ღალატსა და გაუტანლობას.

ო, მზეო! მოსპე დედა მიწა, მოსპე! თუნდა მასთან ერთად მეც ჩავქრებოდე სამარადისოთ!

მე აღარ შემიძლიან მისი ცქერა.

ჩემი მკრთალი შუქი უფრო ფითრდება და ჰკარგავს ძალას იმის საზიზღრობის დანახვაზე.

დამიხსენ მისგან! დამიხსენ!

მნათობნი.

— საწყალი მთვარე!

— საბრალო მთვარე!

— როგორ დატანჯულა!

— როგორ დაღალულა!

— მზეო, დაგვიხსენ დედამიწისგან!

— დაგვიხსენ მისგან გენაცვალებით!

— ჩამოგვაშორე ჩვენი შემრცხვენი!

— ჩამოგვაშორე!

— ჩამოგვაშორე!

მზე უფრო მოიღუშა და მიუბრუნდა ხტუნაობაში გართულ მერკურის:

— ჩემო მალხაზო! გასწი ნახევი დედამიწა სად იმყოფება, ჩქარა დაბრუნდი და პასუხი შემატყობინე!

ცელქმა მერკურიმ ერთი შეიკუნტრუშა, გრძელი მათრახივით შემოიქნია თავისი გაალული სხივები და გაექანა შორს, შორს სამყაროს თვალუწვდენელ სივრცისაკენ.

(დასასრული იქნება)

ლევ. მეტრეველი.

თეატრი და მუსიკა

— : —

სახაზინო თეატრი.

„Cavaleria Rustikana“ („სოფლის პატიოსნება“) „Pagliacci“ („პაიაცი“).

ადამიანი, რომელიც ნამდვილი ესთეტიური გრძნობათა მფლობელია და არა თანამედროვე დეკადენტ-სიმბოლისტურ მხატვრულ შეხედულებათა მატარებელი, მხოლოთ მაშინ განიცდის ძლიერ შთაბეჭდილებას ხელოვნურ ნაწარმოებით, როდესაც უკანასკნელის შინაარსი სინამდვილის სარკეს წარმოადგენს, მას და მხოლოთ მას სცემს თაყვანს; თუ ამ გზას ხელოვნება უხვევს, ამითი ის თავის თავს უარყოფს, რადგან ხელოვნება მხოლოთ მიბაძვაა იმისი, რაც განსაკუთრებულ ნიჭის პატრონთ მოევლინება სხვადასხვა გრძნობათა საშუალებით. ამ თვალთახედვის ისრით თუ შევხედავთ ხელოვნებას,—და ჩვენ გვგონია სხვაფრივ არც შეგვიძლია მას შევხედოთ.—მაშინ შესანიშნავათ უნდა ვიცნოთ ორი ზემოთმოხსენებული მუსიკალური ნაწარმოები, რომელნიც იტალიელ კომპოზიტორებს ეკუთვის: პირველი **მასკანის**, მეორე **ლეონკოვალოს**. რადგან შინაარსი საინტერესოა, ამიტომ მოკლეთ გადავცემთ მკითხველს.

„სოფლის პატიოსნება“: ერთ მდიდარ გლეხს, ალფიოს ცოლათ ჰყავს ლამაზი, მაგრამ ხასიათ წამხდარი ქალი, რომელიც წინეთ მეორე გლეხის,—ტონიოს საყვარელი იყო; ეს ალფიომ არ იცის და თავისი ცოლი გაგიჟებით უყვარს. ტონიო, სოფლის დონ-ჟუანი, კავშირს იჭერს სხვასთან, რომელიც მდიდარი ბუნების პატრონი ქალია; ტონიო მის მოშორებასაც ცდილობს და ისევ პირველ თავის საყვარელს, ალფიოს ცოლს უბრუნდება; სასოწარკვეთილებაში მყოფი სანტუცა (მეორე გოგო, რომელსაც—მოტყუებულს—ებლა ტონიო მიტოვებას უპირებს) ამას ალფოსს უმჟღავნებს. ალფოსი ტონიოს დუელში იწვევს და კლავს. ამ უბრალო, მარტივ სიუჟეტში ჩასხმულია ისეთი მუსიკა, რომლის მოსმენა ნამდვილი სიამოვნებაა, აქ მუსიკა ხან სტირის, ხან იცინის; ის ცხოვრების, სინამდვილის ხმების ჰარმონიული შეზავებაა, მისი ამონაკვნესია.

„პაიაცი“: მოთამაშე კანიოს,—„კლოუნს“ გაგიჟებით უყვარს თავისი ცოლი—ნედა, რომელსაც ლამაზი გლეხი—სილვიო მოსწონს; კანიო საშინელი ეჭვიანი ადამიანია. ნედა კანიოს ამხანაგს—ტონიოსაც, საშინელ მახინჯს—უყვარს; როდესაც ეს უკანასკნელი პირველს თავის გრძნობების შესახებ ელაპარაკება, ნედა მას დასცინის და სილასაც გაარტყამს: ტონიო მას სამაგიეროს უხდის: როდესაც სილვიო და ნედა ერთათ არიან, ტონიოს მოყავს კანიო. ეს—გაგიჟებული—თავის ცოლის საყვარელს გამოეკიდება, მაგრამ ვერ მიწვდება; მისი ცოლის მოსაკლავათ მას ამხანაგები არ მიუშვებენ, რადგანაც ეუბნებიან ისინი: „დღეს წარმოდგენა არის“. წარმოდგენა იმავე შინაარსის არის—შემთხვევით,—როგორიც კანიოს თავზე დატრიალებული უბედურება—სინამდვილე. კანიო სცენას ივიწყებს, სინამდვილე აგონდება, კლავს ცოლს და მის მოსარჩლე სილვიოსაც. „პაიაცი“, როგორც მუსიკალური ნაწარმოები ბევრათ მაღლა დგას „სოფლის პატიოსნებაზე“; კანიოს გულის ტირილი, მისი კვნესა-ვაება და გარეგნული სიცილი, როგორც „კლოუნის“, „ხალხის“ სამხიარულოთ, მისი ეჭვიანობა,—თითქოს ყველა ამათ შესახებ გესაუბრებოდეს მუსიკალური ინსტრუმენტები, ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს ხოლმე საბრალო „პაიაცის“ ისტორია. შესრულება „პაიაცის“, როგორც მუსიკის, ისე თამაშის მხრივ, კარგი იყო.

ორი სიტყვა **ბ-ნ ფალიაშვილზე**; მისი ლოტბარობა შესანიშნავი იყო: ზოგიერთ ალაგას ლეიპციგის დიდებულ ლოტბარს, ნიკიშს მომაგონებდა ხოლმე; ეტყობა-მიმადლებული აქვს მკვირცხლი ნიჭი და მტკიცე მუსიკალური ტემპერამენტი, რაც აუცილებელი საჭიროა ყოველ კარგ ლოტბარისათვის.

მ.-წილი.

ავჭალის აუდიტორია.

„ქალაქში“, დრამა 4 მოქმ. იუშკევიჩისა.

პროსტიტუცია—თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ერთი დამახასიათებელ თვისებათაგანია, ეს მისი თანდაყოლილი სენია. სადაც პირველია, იქ აუცილებლათ მეორეც არის. რუსეთში ამის გაჩენა კარგა ხანია აღინიშნა. იუშკევიჩიც სწორეთ ამ ბოროტებას ეხება თავის „ქალაქში“, იმ განსხვავებით, რომ მას აღნიშნული აქვს ამ „სენის“ ახალი ფორმა. ეს არის—თვით დედის მიერ ძალდატანება, იძულება თავის შვილებზე, რომ ეს უკანასკნელები ამ გზას დაადგენ...

იუშკევიჩს აღებული აქვს გლანკის (ბ. რომანიშვილი) ოჯახი. გლანკს ყავს ცოლი დინა (ქ. რომანიშვილი) და ორი ქალი: სონა (ქ. გოგოლაშვილი) და ევა (ქ. ანდრონიკაშვილი). თითონ გლანკი მოხუცი კაცია და არავითარი უნარი არა აქვს ოჯახის მართვისა. სამაგიეროთ, მთელი ოჯახი ხელთ უჭირავს დინას და თავის ნებაზე ატრიალებს როგორც ქმარს, ისე თავის შვილებსაც. დინამ იცის, რომ მას „ცხოვრება უნდა“ და ამ „ცხოვრებისათვის“ ის აიძულებს თავის ქალს—სონას, რომ წავიდეს იქ, სადაც ფულს აძლევენ... რამდენი კვნესა, რამდენი ტირილი, რამდენი წინააღმდეგობა, მაგრამ... ბოლოს მაინც სონა მსხვერპლი ხდება გარყვნილების...

დინა არ კმაყოფილდება ერთის დაღუპვით და უნდა მეორე ქალი—ევაც ამ გზაზე დააყენოს, მაგრამ უკანასკნელი არჩევს უმალ თავი მოიკლას, ვინემ გარყვნილებას მიეცემოდეს.

სონას შვილი ჰყვება! დინამ იცის, რომ შვილიანი ქალი არ გამოდგება გასაყიდათ და აი, ისიც ხელიდან აცლის მას შვილს და სასიკვდილოთ აძლევს მაშკის, ქალს, რომლის დანიშნულებაც სწორეთ ამ „უკანონო“ შვილების ხოცვაა!..

პიესი' ავტორი შეუჩერებლივ დასტრიალებს გლანკის ოჯახს და საოცარი, გულის ამღვრეევი სცენებით გვისურათებს დინას გარყვნილებასა და გათახსირებას!..

ჩვენ შეგვეძლო მიგვეთითებინა, პიესის ზოგიერთ ნაკლულევანებებზეც, მაგრამ ადგილის უქონლობა გვაიძულებს, თავი დავანებოთ. ყოველ შემთხვევაში, ის კი ეჭვს გარეშეა, რომ საზოგადოთ დედა ძარღვი, რომელიც საფუძვლათ უდევს პიესას, სწორია, სინამდვილეა და ერთიანათ დამახასიათებელია არსებულ სოციალურ უკულმართობის...

ასრულების შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ თუ პიესის სიძნელეს მივიღებთ მხედველობაში, ასეთი შესრულება მოულოდნელიც იყო. მართლაც, ყველა ქალების როლები ძნელი და პასუხ საგებია, მაგრამ ეს სიძნელე ძლეულ იქნა და საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა. დანარჩენ მოთამაშეებში ყურადღებას იქცევდა ბ-ნი რომანიშვილი. სამაგიეროთ, ბ. X, ბეერის როლში, ძალიან სუსტობდა. სხვები ჩვეულებრივ ხელს უწყობდენ პიესის მიმდინარეობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქ. მ. ჩაგუნავა, რომელიც ელკას როლს თამაშობდა, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. კარგ პირობებში ის ქართული სცენის ერთ-ერთ სერიოზულ ძალათაგანი იქნება.

წარმოდგენას საზოგადოება საკმაოთ დაესწრო. წეს-რიგი წინანდელთან შედარებით სუსტი იყო. წარმოდგენის დროს ხშირათ სკამებზე დგებოდენ. ეს ცუდი ნიშანია და აუცილებლათ უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

პარნასი.

სომხური წარმოდგენა.

ორშაბათს, 20 სექტემბერს, არტისტიულ საზოგადოების თეატრში, სომეხ არტისტთა დასის მიერ წარმოდგენილ იქნა ცნობილ ბელეტრისტის—შირვანზადეს ახალი 5 მოქმედებიანი დრამა—„ნანბრევებზე“. პიესა იდეის მხრივ დიდს არაფერს წარმოადგენს, თუმცა რამდენიმე ცვლილების შემდეგ გამოდგება სცენისათვის. პიესაში წამოყენებული არიან ორი კატეგორიის პირები; ერთი მათგანი, ფრანგულიანი ეკუთვნის ძველ ვაჭართა იმ კატეგორიას, რომელსაც, კონსერვატიზმით გაღენთილს, არაფერი ახალი არ უნდა შემოიღოს არც ვაჭრობაში და არც კერძო ცხოვრებაში.

მეორე—აღაველიანი—სრულიად ამისი წინააღმდეგი ტიპია. მას უმსახურნია დიდ ხანს პირველთან და თუმცა მისი ხელქვეითი ყოფილა, შეუსწავლია სავაჭრო საქმის ევროპიულის სისტემით წარმოება და უმთავრეს მნიშვნელობას აძლევს ინდუსტრიას. პიესის სიუჟეტი ბაქოს ცხოვრებიდან არის აღებული და თავდება იმით, რომ ფრანგულიანი კოტრდება და აღაველიანი კი საქმეს უმჯობესებს.

დრამაში უმთავრესი—ფრანგულიანის შვილის—ლევონის (ზარიფიან) როლია, რომელსაც დიდ ქალაქებში ცხოვრებით, გაუფუჭებია თავისი ახალგაზდობა და დაავათმყოფებულა ავი სენით. ის ყოველთვის ჩივის ცხოვრების წინააღმდეგ და იმდენათ იტანჯება, რომ წინადადებას აძლევს თავის მეგობარს, ექიმ ადელბეგიანს, მოსწამლოს იგი; მაგრამ მეგობარი ექიმი ამაზე უარს ეუბნება ბოლოს ლევანი ვეღარ უძლებს ავათმყოფობას და თავს იკლავს.

ბ-ნი ზარიფიანი ამ როლში შესანიშნავი იყო. კარგათ შეასრულეს თავიანთი როლები ბბ. ჰარუთიუნიანმა, ვანშერმა, ავეტიანმა. მშვენიერი იყო თავის როლში ქ. ადამიანი. ქქ. მელიქიანმა, გულაზიანმა და არაქსმა დასაკმაყოფილებლათ ასრულეს თავიანთი როლები. კარგი იყო აბრეთვე ბ. მაშიკონიანი ექიმი ადელბეგიანის როლში.

ცხადია, რომ ბ-ნ ჯაფანაკიანის რეჟისორობით დასი კარგათ ითვისებს, თუ რა მოვალეობა აწევს მას საზოგადოების წინაშე, თუმცა, სომეხი საზოგადოება იმავე ინდიფერენტიზმში არის და არც ვბონებთ ჯერ-ჯერობით აპირებდეს ლეტარგიულ ძილიდან გამოღვიძებას.

თეატრი ნახევრათ ცარიელი იყო. შემდეგი წარმოდგენა იქნება 27 ოქტომბერს. ითამაშებენ მ. გორკის „ნაძირალნი“-ს.

Artemius.

პროვინცია.

ს. მანდიკორი (ტყიბულის საბოქაულო—იმერეთი). საერთოდ ოკრიბა მდებარეობით ნოყიერი არ არის და ამიტომ მოსავალიც არ მოსდის გლეხს წლის სამყოფი. ამ სოფელში შიმშილობით დიდი გაჭირვებული არიან. რაც უნდა კარგი მოსავალი იქნეს, 8 თვის მეტათ არ გაყვება ხოლმე. ოთხ თვეს გლეხი ყიდულობს სიმინდს, გადასახადი კი იმდენი აქვთ, რაც კარგ მოსავლიან ალაგების პატრონებს. რაც შეეხება სწავლა-განთლებას, ის ძალიან დაბალ საფეხურზეა: ოთხ-ხუთ სოფელში არსად სკოლა არ მოიპოება, რომ ამით ბავშვებმა ხელის მოწერა მაინც ისწავლონ. მთელ 150 კომლში ვერ ნახავთ 30 კაცს, რომ ხელის მოწერა იცოდეს. მის მაგიერ, რომ ამისთანა გონებრივათ და ნივთიერათ დაცემულ საზოგადოებას გამოუჩნდეს ვინმე გულშემატკივარი და დააყენოს სწორ გზაზე. ზოგიერთები ეუბნებიან ხალხს, რათ გინდათ სწავლა განათლებაო...

ამისთანა სოფელში მღვდელი დიდ როლს თამაშობს. და იმის მოვალეობაა შეაგონოს ხალხს სწავლის საჭიროება, მაგრამ, როგორც ამბობენ, ის თურმე წინააღმდეგს ურჩევს ხალხს.. .არიან სხვა ისეთი პირებიც, რომელთაც შეუძლიათ ასეთს საზოგადოებას დხმარება გაუწიონ, როგორც ქონებრივათ, ისე ზნეობრივათაც, მაგრამ ეს ბატონები ხალხის განათლების საქმეს გულგრილათ უცქერიან, საზოგადებრივი მათ არაფერი არ აინტერებთ და მხოლოთ პირადი ინტერესებით არიან გაჟღენთილი. საჭიროა ამ სოფელს გამოუჩნდეს ვინმე გულშემატკივარი და მიაწოდოს ხალხს გონებრივი საზრდო.

მოდარაჯე.

წერილი რედაქციის მიმართ.

—:—

ბ. ი. ცინცაძის საპასუხოთ.

გაზეთ „ჩვენი კვალის“ № 14-ში მოთავსებულია ბ. ი. ცინცაძის წერილი, ა. ლომთათიძის წერილის გამო. ბ. ი. ცინცაძე უპასუხებს ა. ლომთათიძეს და სხვათა შორის დასძენს, „მე მართო ლომთათიძესთან კი არა მაქვს საქმე, არამედ ხუთივე ჩემ გამბეებთანო“, რიცხვთა შორის მასახელებს მეც. მე არ გამოუდგები იმას თუ რამდენათ სამართლიანია, ბ. ცინცაძის მიერ, გამგეობის სასამართლოში გაწვევა, მხოლოთ, საზ. უნდა ვაუწყო რომ, ბ. ცინცაძის და გამბეებს შორის შემდგარ სასამართლოში მე არ მიმიღია მონაწილეობა, რადგანაც არ ვცნობდი საჭიროთ, არც დღესა მაქვს სურვილი და არც შემიძლია დავეთანხმო მის წინადადებას, ეს იმიტომ კი არა თითქოს მე მტყუანი ვიყო და გაურბოდე სასამართლოს, სულაც არა, აი საქმე რაშია: მე მართალია ვმსახურებდი ი. ცინცაძესან და მებარა რამდენიმე თვეს ფინანსიური ფუნქცია. ბ. ცინცაძე ცოტას ფულზე სუსტობდა, მუშებს ვერ აკმაყოფილებდა თავის დროზე., რის შემდეგ გაავრცელა ჩემზე უბრალო ცილის წამება, თითქოს მე ასი თუმანი მისი გამეფლანგოს, რამდენიმეჯერ წინადადების მიცემის შემდეგ ძლივს დავითანხმე გამყოლოდა სამედიატორო სასამართლოში, სადაც მე გავმართლდი და მის მიერ წამოყენებულა ბრალდება იცნეს უბრალო ცილის წამებათ. მართალია, ის ამ სასამართლოს წინააღმდეგ წავიდა და „დობირაში“ გადაწყვეტილი უწოდა, მაგრამ ამის შემდეგ მე ვმუშაობდი უბრალო „რიადავოი“ პრიკაზჩიკათ და ბოლომდის თითქმის კარგი განწყობილება გვქონდა; არც იმ ბრალდებაზე გამიგონია რამე, ახლა კი სხვებთან ერთათ მეც მთხოვს ანგარიშს, რაც უკვე ჩვენ შორის გათავებულია. ახლაც თუ იმასვე ამბობს.—„დობირაში“ გადაწყვეტილი იყოვო და არ სცნობს კანონიერათ, ეს მე არ ვიცი, სუდის გადაწყვეტილებას ორივე მხარე უნდა დავმორჩილებოდით, და თუ ბ. ცინცაძე არ არ ემორჩილება, და „დობირაში“ გადაწყვეტილს უწოდებს, ეს ჩემთვის კანონი არ არის, რაც შეეხება ფულების გაფლანგვის ბრალდება, ზემოაღნიშნულ ამხანაგებზეც, ესეც ცილის წამებაა, მაგრამ თუ მაინც და მაინც ბ. ცინცაძე ამას არ იშლის, ჩემთან მაინც არაფერი საქმე არ აქვს, და საზოგადოება ნუ შეყავს შეცდომაში.

იაგორ ჭელიძე.

რედაქციისაგან:

ჩვენი გაზეთის მე-25 ნომრიდან დაიწყება ბეჭდვა **ივ. გომართელის პოპულიარულ წერილებისა:**

უტოპისტები და მარქსის მოძღვრება

ვინც **„ჩვენ კვალს“** **წასული თვეების ნომრებით, ან მხოლოთ პირველი სექტემბრიდან გამოიწერს წლის ბოლომდე, მიიღებს** **პრემიათ** **პოპულიარულ სამეცნიერო სტატიებისა და მოთხრობათა**

კრებულს

რომელიც დაახლოებით შეიცავს 200 გვერდს.

ჩვენი კვალი

წასული ნომრებით წლის ბოლომდე ღირს — — **3** მან.
სექტემბრიდან — — — — — — — — — **2** „

ხელის მოწერა მიიღება თბილისში—რედაქციაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში“. ქუთაურ ხელის მომწერთ გაზეთი პრემიით დაურიგდება კანტორა „იმერეთში“

Тифлисъ. Редакція «Чвени Квали». Ванкская ул. № 12. Рахиль Каландадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ ბარამაშვილი.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. **„სოფრაპანი“**, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.